N 04/114
13/03/2023

ბრძანება

114-01-4-202303131656

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 31 მარტის N04/34 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების, 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის 29-ე მუხლის შესაბამისად, სააგენტომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს მოკვლევის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი - „გადაწყვეტილება ი/მ შოთა ლომინაშვილის დაზუსტებული საჩივრის ნაწილობრივ დასაშვებად ცნობის, საქმის მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ“ კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 31 მარტის N04/34 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე“ - თანდართული ფორმით;
2. დადასტურდეს სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევა;
3. სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრს დაევალოს, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ი/მ შოთა ლომინაშვილის (პ/ნ: 60002007062) მიმართვის საფუძველზე დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება აკრედიტაციისთვის საჭირო სამართლებრივი პროცედურების განხორციელების მიზნით და აკრედიტაციის გაცემაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება დააფუძნოს პტი ცენტრის აკრედიტაცის სფეროში მოქმედ კანონმდებლობას, ისე, რომ გაცემულმა უარმა არ შექმნას ბაზარზე შესვლის მნიშვნელოვანი და გაუმართლებელი ადმინისტრაციული ან სხვა სახის ბარიერი და

არ გამოიწვიოს ეკონომიკური აგენტის (მათ შორის, პოტენციური ეკონომიკური აგენტის) საქმიანობის შეფერხება;

4. დამტკიცებული გადაწყვეტილება გადაეგზავნოს როგორც მომჩივან და მოპასუხე მხარეებს, აგრეთვე, განმცხადებელს;
5. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვით;
6. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64);
7. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: მოკვლევის ჯგუფის წევრების 2023 წლის 13 მარტის N03/154 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე

საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„ი/მ შოთა ლომინაშვილის დაზუსტებული საჩივრის ნაწილობრივ დასაშვებად ცნობის, საქმის მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ“ კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 31 მარტის N04/34 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე

თბილისი
2023

სარჩევი

თავი I. აღწერილობითი ნაწილი 3

ნაწილი 1. საჩივრის შინაარსი 3

ნაწილი 2. განცხადების შინაარსი 4

ნაწილი 3. მოპასუხის პოზიცია 5

ნაწილი 4. სააგენტოს მიერ დამატებით მოპოვებული ინფორმაცია 7

4.1. მომჩივანისგან მიღებული დამატებითი ინფორმაცია 7

4.2. აკრედიტაციის ცენტრისგან დამატებით მიღებული ინფორმაცია 8

ნაწილი 5. საკონსულტაციო შეხვედრები 9

5.1. საკონსულტაციო შეხვედრა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან 10

5.2. საკონსულტაციო შეხვედრა შპს „ეპიცენტრთან“ 11

5.3. საკონსულტაციო შეხვედრა შპს „აუტოტესტ გეორგიასთან“ 12

ნაწილი 6. ახსნა-განმარტებითი შეხვედრები 13

6.1. ახსნა-განმარტებითი შეხვედრა მომჩივანთან 13

6.2. ახსნა-განმარტებითი შეხვედრა მოპასუხესთან 14

ნაწილი 7. გადაწყვეტილების პროექტის გაცნობა და შემაჯამებელი სხდომა 15

თავი II. ნორმატიული რეგულირება 17

ნაწილი 1. კონკურენციის კანონმდებლობა 17

1.1. კონკურენციის კანონმდებლობის მატერიალური ნაწილი 17

1.2. კონკურენციის კანონმდებლობის პროცედურული ნაწილი 18

ნაწილი 2. ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების აკრედატაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა 20

2.1. პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების ცენტრების აკრედიტაციის სამართლებრივი რეგულირების ზოგადი ჩარჩო 20

2.2. პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაციის სამართლებრივი საფუძვლები 21

2.3. პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაციის დამატებითი/სპეციფიკური მოთხოვნების გაუქმება 23

თავი III. პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაციასთან დაკავშირებული სასამართლო დავები 25

თავი IV. შესაბამისი ბაზარი 28

ნაწილი 1. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა 28
1.1. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები 29
1.2. შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები 30
1.3. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩოები 30
1.4 შუალედური დასკვნა 31
ნაწილი 2. შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტები 31
ნაწილი 3. შესაბამის ბაზარზე არსებული ბარიერები 32
3.1. ინსტიტუციონალური ბარიერი 32
3.2. ტექნიკური ბარიერი 33
3.3. ფინანსური ბარიერი 33
თავი V. სააგენტოს შეფასება 34
ნაწილი 1. შესავალი 34
ნაწილი 2. სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“, როგორც კანონის მე-10 მუხლის ადრესატი 36
ნაწილი 3. პტი ცენტრის აკრედიტაციის „დამატებითი პირობების“ გაუქმება და შესაბამისი სამართლებრივი შედეგები 38
ნაწილი 4. აკრედიტაციის ცენტრის მიერ მომჩივანის მიმართ კარედიტაციის გაცემაზე უარის მიმართება კანონის მე-10 მუხლთან 39
ნაწილი 5. დასკვნა 47
თავი VI. სარეზოლუციო ნაწილი 48

თავი I. აღწერილობითი ნაწილი

2022 წლის 28 იანვარს ი/მ შოთა ლომინაშვილის (პ/ნ: 60002007062) მიერ საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში „სააგენტო“) წარმოდგენილ იქნა დაზუსტებული საჩივარი (რეგ.№01/165) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა (შემდგომში - „სამინისტრო“) და სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის მიერ (შემდგომში - „აკრედიტაციის ცენტრი“) „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფატზე.

ამავე საკითხზე, 2021 წლის 23 დეკემბერს საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს განცხადებით (რეგ. N01/2101) მომართა ა(ა)იპ ,,საქართველოს ავტომობილების ინსპექტირების ცენტრების ასოციაციამ“ (შემდგომში - „ასოციაცია“) და მოითხოვა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ ქმედებების „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობის შესწავლა.

სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 31 მარტის №04/34 ბრძანების საფუძველზე ნაწილობრივ დასაშვებად იქნა ცნობილი ი/მ შოთა ლომინაშვილის საჩივარი და დაიწყო მოკვლევა სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრთან მიმართებით „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნათა შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

ნაწილი 1. საჩივრის შინაარსი

2021 წლის 15 დეკემბერს, ი/მ შოთა ლომინაშვილმა (პ/ნ: 60002007062) სააგენტოში წარმოადგინა საჩივარი (რეგ. №01/2068) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის ქმედებების და გადაწყვეტილებების „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

საჩივრის ფორმალური დასაშვებობის შესწავლის ეტაპზე, 2021 წლის 22 დეკემბერს განმცხადებელ ი/მ შოთა ლომინაშვილს სააგენტოს №02/682 წერილით, სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N38 ბრძანებით დამტკიცებული „საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის წესი და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურები და ვადების“ შესაბამისად განემარტა, რომ აღნიშნული პროცედურები ითვალისწინებს საჩივრის ფორმას და სააგენტოში კანონდარღვევის თაობაზე ინფორმაცია მომჩივანი ეკონომიკური აგენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ კანონით დადგენილი ფორმით.

2022 წლის 28 იანვარს ი/მ შოთა ლომინაშვილმა სააგენტოში წარმოადგინა ფორმის დაცვით შედგენილი დაზუსტებული საჩივარი (რეგ.№01/165).

საჩივარში მომჩივანი აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 3 თებერვლის №1-1/27 ბრძანებით ცვლილება შევიდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 მარტის № 1-1/330 ბრძანებაში, რომლის მიხედვითაც გაუქმდა მითითებულ პერიოდამდე მოქმედი „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების (შემდგომში - „პტი“) ცენტრების შენობა/ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ 2017 წლის 1 დეკემბრის №511 დადგენილებით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციის დამატებითი პირობები“ (შემდგომში - „დამატებითი პირობები“).

„დამატებითი პირობების“ გაუქმების შემდგომ, 2021 წლის 25 ნოემბერს მომჩივანმა მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის შექმნისა და ოპერირების მიზნით, აკრედიტაციის ხელშეკრულების გასაფორმებლად, რაზეც აკრედიტაციის პროცედურის აღმასრულებელი ორგანოსგან სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრისგან 2021 წლის 6 დეკემბრის №GAC-01/976 წერილით პასუხად მიიღო უარი შესაბამისი ცენტრის მოწყობაზე. მომჩივანის მოსაზრებით, აღნიშნული აკრედიტაციის ცენტრის პასუხი არ შეიცავს სამართლებრივ დასაბუთებას და ის არგუმენტი, რომ სამინისტროსა და შესაბამის ინსპექტირების ცენტრებს შორის არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობები (რაც ერთგვარ წინაპირობას წარმოადგენს ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაციასთან დაკავშირებული პროცესების სამართლებრივად წარსამართად), გაუგებარია და სწორედ ზემოთ აღნიშნული გაუქმებული „დამატებითი პირობების“ ნაწილია.

მომჩივანი უთითებს, რომ 2021 წლის თებერვლის შემდგომ სახეზეა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის მიერ პტი ცენტრის მოწყობაზე კანონსაწინააღმდეგო უარის თქმის ფაქტი, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ „გ“ და „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ აკრძალულ ქმედებას.

ნაწილი 2. განცხადების შინაარსი

2021 წლის 20 დეკემბერს სააგენტოს განცხადებით (რეგ. N01/2101) მომართა ა(ა)იპ ,,საქართველოს ავტომობილების ინსპექტირების ცენტრების ასოციაციამ“ (შემდგომში -

„ასოციაცია“) და მოითხოვა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ ქმედებების „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობის შესწავლა.

სააგენტოს 2021 წლის 22 დეკემბრის N02/683 წერილით ასოციაციას ეცნობა, რომ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული „საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის წესი და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურები და ვადების“ (შემდგომში - პროცედურა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მომჩივანი არის ეკონომიკური აგენტი, რომელსაც მიაჩნია, რომ კანონის დარღვევის შედეგად მას უშუალოდ ადგება ქონებრივი ზიანი. ვინაიდან წარმოდგენილი საჩივრით არ დასტურდებოდა ზიანის მიყენების ფაქტი, ასევე, არ ყოფილა წარმოდგენილი აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება, განცხადების ავტორს დაევალა ზიანის მიყენების ფაქტთან დაკავშირებით შესაბამისი მსჯელობისა და მტკიცებულებების წარმოდგენა.

2021 წლის 23 დეკემბერს ასოციაციამ სააგენტოში წარმოადგინა განცხადება (რეგ. N01/2134), რომელშიც უთითებს, რომ ასოციაცია არ აწარმოებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ ინსპექტირებას, თუმცა იგი წარმოადგენს ამ სფეროში მომუშავე 40 კომპანიის გაერთიანებას, რომლის მიზანი არის წევრთა უფლებების დაცვა და ადვოკატირება. ასოციაციას აკრედიტაციის ცენტრის გადაწყვეტილებით არ მისდგომია ზიანი, მაგრამ ზიანი ადგება ასოციაციის წევრებს. აღნიშნულის დასტურად მითითებულია შესაბამისი ორგანოების (ეკონომიკის სამინისტრო და აკრედიტაციის ცენტრი) მხრიდან შპს ,,აუტოტესტ გეორგიას“ მიმართ მიღებული გადაწყვეტილებები და ასოციაცია ითხოვს მოკვლევის დაწყებას და აღნიშნული გადაწყვეტილებების (აკრედიტაციაზე უარი) შეფასებას კონკურენციის კანონმდებლობასთან მიმართებით.

ასოციაციის მიერ წარმოდგენილი განცხადება გათვალისწინებულ იქნა, როგორც შეტყობინება/განცხადება „კონკურენციის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

ნაწილი 3. მოპასუხის პოზიცია

ვინაიდან სააგენტოში წარმოდგენილი საჩივარში მომჩივანი მოპასუხე მხარეებად მიუთითებდა როგორც აკრედიტაციის ცენტრს, აგრეთვე, საქართველო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სააგენტოში მოკვლევის დაწყებამდე, საჩივარი თანდართულ მასალებთან ერთად, 2022 წლის 31 იანვრის №02/109 წერილით, საკუთარი პოზიციის მოსაწოდებლად გადაეგზავნათ - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სსიპ - აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრს.

აკრედიტაციის ცენტრი მისთვის გაგზავნილ საჩივარზე საპასუხო წერილში (16.02.2022 წლის NGAC-01/88; სააგენტოში რეგისტრაციის ნომერი - 16.02.2022 წლის N01/287) აღნიშნავს, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებული რეფორმის ფარგლებში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული ღია კონკურსის საფუძველზე, წარმოიშვა შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობები სამინისტროსა და შესაბამის ინსპექტირების ცენტრებს შორის, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ წინაპირობას ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაციასთან დაკავშირებული პროცესების სამართლებრივად წარსამართად და აკრედიტაციის ცენტრი მოკლებულია შესაძლებლობას, დააკმაყოფილოს საჩივრის ავტორის მოთხოვნა. აღნიშნულის თაობაზე ეცნობა ი/მ შოთა ლომინაშვილს აკრედიტაციის ცენტრის 2021 წლის 6 დეკემბრის № GAC-01/976 წერილით.

აკრედიტაციის ცენტრის მიერ წარმოდგენილ წერილში, ასევე, მითითებულია, რომ აკრედიტაციის ცენტრი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და ამის დასტურად წერილში უთითებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებას, რომლითაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა შპს „აუტოტესტ გეორგიას“ მსგავსი მოთხოვნა (სასარჩელო მოთხოვნა ეხებოდა ე.წ. ფილიალის აკრედიტაციას - აკრედიტაციის სფეროს გაფართოებას, რომელიც სამართლებრივ-პროცედურული თვალსაზრისით, აკრედიტაციის მიღების იდენტურია). [1]

სამინისტრომ საჩივართან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია წარმოადგინა 04.03.2022 წლის N04/1319 წერილით (სააგენტოში რეგისტრაციის ნომერი - N01/409, 07.03.2022), სადაც აღნიშნულია, რომ „გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კონკურენციის სააგენტომ ერთხელ უკვე განიხილა მომჩივანის საჩივარი ... ამასთან იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შოთა ლომინაშვილი ითხოვს სამინისტროს იმ ქმედებათა და გადაწყვეტილებათა შეფასებას, რაზეც სააგენტოს ერთხელ უკვე აქვს მიღებული გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე დავის საგანზე და ახლად აღმოჩენილი გარემოება წარმოდგენილი არ არის, სახეზეა შოთა ლომინაშვილის საჩივარზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძველიც“.

ასევე, სამინისტრო აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია შპს „აუტოტესტ გეორგიას“ და კიდევ რამდენიმე ეკონომიკური აგენტის სარჩელი სამინისტროს მიმართ სამინისტროსა და შპს „პრემიუმ რეზიდენსს“ (უფლებამონაცვლე შპს „გრინვეი საქართველო“) შორის პტი ცენტრის მოწყობის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ. სამინისტროს განცხადებით, შპს „აუტოტესტ გეორგიას“ სასარჩელო მოთხოვნა იდენტურია ასოციაციის მიერ სააგენტოში წარმოდგენილ განცხადებაში

[1] სააგენტოში მიმდინარე მოკვლევის დასკვნით ეტაპზე ა(ა)იპ „საქართველოს ავტომობილების ინსპექტირების ცენტრების ასოციაციის წარმომადგენლის მიერ 2023 წლის 6 მარტს სააგენტოში 01/754 წერილის დანართი N3-ით წარმოდგენილ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „აუტოტესტ გეორგიას“ საჩივარი ნაწილობივ დაკმაყოფილდა, გაუქმებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება

მითითებული გარემოებებისა და არსებობს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის გამოყენების წინაპირობა („სასამართლო წარმოებაშია დავა იმავე მხარეებს შორის იმავე დავის საგანზე ან იმავე დავის საგანზე სასამართლოს მიღებული აქვს განჩინება ან სხვა გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ“), რის გამოც ასოციაციის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარი უნდა ითქვას.

ნაწილი 4. სააგენტოს მიერ დამატებით მოპოვებული ინფორმაცია

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის, სრული, ყოველმხრივი და ობიექტური მოკვლევის მიზნებისათვის, სააგენტოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გამოთხოვილ იქნა დამატებითი ინფორმაცია მომჩივან ი/მ შოთა ლომინაშვილისგან, მოპასუხე აკრედიტაციის ცენტრისგან და ბაზრის მონაწილე სუბიექტებისგან, მათ შორის საჩივარსა და განცხადებაში მითითებული ეკონომიკური აგენტებისგან.

4.1. მომჩივანისგან მიღებული დამატებითი ინფორმაცია

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის მიერ საჩივართან დაკავშირებით წარმოდგენილი საპასუხო წერილები საკუთარი პოზიციების წარმოსადგენად გადაეგზავნათ - მოქალაქე შოთა ლომინაშვილს (09.03.2022 წლის N02/170 წერილი) და ა(ა)იპ ,,საქართველოს ავტომობილების ინსპექტირების ცენტრების ასოციაციას“ (09.03.2022 წლის N02/171 წერილი).

შოთა ლომინაშვილი, თავის 2022 წლის 15 მარტის საპასუხო წერილში (სააგენტოში რეგისტრაციის ნომერი - N01/463, 15.03.2022) აღნიშნავს, რომ აკრედიტაციის ცენტრის წერილში ახალი არაფერია ნათქვამი - ისევ მითითებულია ,,ერთგვარ წინაპირობაზე“, როგორც აკრედიტაციის გაცემაზე უარის საფუძველზე. ასევე, შოთა ლომინაშვილი არ ეთანხმება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პასუხს, კერძოდ, მისი მოსაზრებით, უსაფუძვლოა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პოზიცია საჩივრის ავტორის საჩივართან დაკავშირებით, რომ არ არსებობს ახლად აღმოჩენილი გარემოება და მომჩივანის იდენტური საჩივარი უკვე განხილულია სააგენტოს მიერ. შოთა ლომინაშვილის აზრით, ეკონომიკის მინისტრის 2021 წლის 3 თებერვლის N1-1/27 ბრძანებით, აკრედიტაციის დამატებითი პირობების გაუქმება არის სწორედ ახლად წარმოშობილი გარემოება. მომჩივანი მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფალი მეწარმეობის უფლება,

შეიზღუდა აღნიშნული უსამართლო პირობების გამოგონებით, რაც უნდა იქნას უპირობოდ აღდგენილი.

4.2. აკრედიტაციის ცენტრისგან დამატებით მიღებული ინფორმაცია

აკრედიტაციის ცენტრმა 2022 წლის 4 მაისის GAC-01/313 წერილით სააგენტოს 2022 წლის 11 აპრილის (რეგ. N02/311) წერილზე პასუხად წარმოადგინა დამატებითი განმარტებები და ინფორმაცია საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად.

აკრედიტაციის ცენტრი აღნიშნავს, რომ განხორციელებული რეფორმის ფარგლებში უკვე არსებობს შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობები სამინისტროსა და შესაბამის პტი ცენტრებს შორის, „დამატებითი პირობების“ ამოღებამდე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები დღემდე ძალაშია და შესაბამისად, სამინისტრო განაგრძობს აღებული ვალდებულებების შესრულებას. აქედან გამომდინარე, აკრედიტაციის ცენტრი მოკლებულია შესაძლებლობას, გასცეს ახალი აკრედიტაცია მხოლოდ დადგენილი აკრედიტაციის წესებისა და პროცედურების საფუძველზე, მათ შორის გასცეს აკრედიტაცია დამატებით სფეროში, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს პირველად აკრედიტაციას. აკრედიტაციის ცენტრი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობისა და განხორციელებული რეფორმის შედეგად წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებში.

აკრედიტაციის ცენტრის წერილში ასევე აღნიშნულია, რომ აკრედიტაციის მოთხოვნის მიღების შემთხვევაში, ცენტრი განაცხადს უგზავნის ასევე სამინისტროს, ვინაიდან რეფორმის ფარგლებში, სწორედ სამინისტროა შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობების მხარე, რომლის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია განხორციელებული რეფორმის ფარგლებში, აკრედიტაციის შემდგომი პროცესის წარსამართად.

გარდა ამისა, მართალია „დამატებითი პირობები“ ამოღებულ იქნა აკრედიტაციის ცენტრის დებულებაში შეტანილი ცვლილებით, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ სამინისტროს არ აქვს უფლება განსაზღვროს დამატებითი პირობები პტი ცენტრების აკრედიტაციისთვის, ვინაიდან სწორედ ამ უფლებამოსილებას განუსაზღვრავს მას საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს N301 დადგენილების მე-12 პუნქტი. შესაბამისად, აკრედიტაციის ცენტრის განცხადებით, დამატებითი პირობების განსაზღვრის უფლებამოსილება ახლაც აქვს სამინისტროს.

აკრედიტაციის ცენტრი, ასევე, აღნიშნავს, რომ ახალი ტესტირების ხაზის ან ადგილის დამატება განიხილება სფეროს გაფართოებად, რაც დამატებითი აკრედიტაციის გზით ხდება და მსგავსია პირველადი აკრედიტაციისა. ამასთან, თუ აკრედიტაცია არის კონკრეტულ მისამართზე, მაშინ ადგილის/მისამართის ცვლილება სამინისტროს შესაბამისი თანხმობის ან/და მასთან დადებული ხელშეკრულების ცვლილების გარეშე არ ხდება.

ამასთან, სააგენტოს კითხვაზე 2018 წლიდან მოყოლებული დღემდე პერიოდში (მას შემდეგ, რაც დასრულდა აუქციონის შედეგად 51 ლოტზე გამარჯვებულის გამოვლენა და

არსებულ ცენტრებთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება), გაფორმდა თუ არა სხვა ეკონომიკურ აგენტებთან ხელშეკრულებები პტი ცენტრების მოსაწყობად, აკრედიტაციის ცენტრი წერილში აღნიშნავს, რომ ღია კონკურსის დასრულების შემდეგ, ახალი ხელშეკრულების გაფორმება მოხდა მხოლოდ ერთ კომპანიასთან შპს „სასწავლო და საგამოცდო ცენტრ - PTI-თან, ისიც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.[2]

აკრედიტაციის ცენტრმა, სააგენტოში მიმდინარე მოკვლევის მხოლოდ დასკვნით ეტაპზე, 2022 წლის 9 დეკემბრის (N01/2286) წერილით მიუთითა, რომ ი/მ შოთა ლომინაშვილს განცხადებით - ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციაზე ეკრედიტაციის ცენტრისათვის არასოდეს მოუმართავს, კერძოდ, განცხადება არ წარმოუდგენია გენერალური დირექტორის შესაბამისი ბრძანებით დადგენილი წესით დამტკიცებული ფორმით. შესაბამისად, მომჩივანის უფლებების შელახვას ადგილი საერთოდ არ ჰქონია.

აღნიშნულ წერილზე საპასუხო წერილით დააფიქსირა პოზიცია მომჩივანმა შოთა ლომინაშვილმა.[3] მომჩივნის პოზიციით, აკრედიტაციის ცენტრის განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან მან საჩივართან ერთად სააგენტოს წარმოუდგინა აკრედიტაციის ცენტრის 2021 წლის 6 დეკემბრის წერილი № GAC-01/976, სადაც ხაზგასმითაა მითითებული, რომ აკრედიტაციის ცენტრი მოკლებული იყო შესაძლებლობას დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა და უთითებდა შესაბამის მიზეზსაც - სამინისტროს სახელშეკრულებო ურთიერთობას სხვა ეკონომიკურ აგენტთან.

მომჩივანი აგრეთვე მიუთითებს, რომ თუ პრობლემა მხოლოდ განაცხადის ფორმაში იყო, მაშინ აკრედიტაციის ცენტრი მარტივად მიუთითებდა, რომ განცხადება არ იყო წარმოდგენილი სათანადო ფორმით და მოითხოვდა განცხადების ფორმით წარდგენას - ამის საპირისპიროდ კი ცენტრმა განხილვის გარეშე, აკრედიტაციის გაცემის შესაძლებლობაზე წერილობით უარი განაცხადა და შესაბამისი დამაბრკოლებელი გარემოებაც მიუთითა - მოქმედი ხელშეკრულება სხვა ინსპექტირების ცენტრთან.

ნაწილი 5. საკონსულტაციო შეხვედრები

საქმისათვის არსებით მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები გამოკვლევის მიზნით, სააგენტოს მიერ ჩატარდა საკონსულტაციო შეხვედრები, რომლებზეც ახსნა-განმარტებისთვის მოწვეულ იქნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, აგრეთვე, შპს „ეპიცენტრი“ და შპს „აუტოტესტ გეორგია“.

[2] დეტალურად, იხ: გადაწყვეტილების III თავში
[3] ი/მ შოთა ლომინაშვლის 2022 წლის 14 დეკემბრის წერილი N01/2314

5.1. საკონსულტაციო შეხვედრა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან

2022 წლის 24 ივნისს ონლაინ, ზუმის პლატფორმის გამოყენებით გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან.[4]

სამინისტროს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს N301 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის“ მე-12 პუნქტით განსაზღვრული პტი ცენტრების აკრედიტაციისათვის დადგენილი დამატებითი პირობები, რომელიც ასახული იყო აკრედიტაციის ცენტრის დებულებაში შეტანილი ცვლილებებით (მინისტრის 2018 წლის 8 იანვრის N1-1/5 ბრძანების დანართი N1), 2021 წლის 3 თებერვლის N1-1/27 ბრძანების საფუძველზე ამოღებულ იქნა დებულებიდან. შესაბამისად, აკრედიტაციის „დამატებითი პირობები“ აღარ არსებობს და მოქმედი შეზღუდვები ეფუძნება მხოლოდ კონკრეტულ სუბიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებას.

სააგენტოს შეკითხვაზე, არსებობდა თუ არა პტი ცენტრების აკრედიტაციის გაცემაზე შეზღუდვები და არსებობის შემთხვევაში, რომელი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, სამინისტრომ უპასუხა, რომ შეზღუდვა ეფუძნება არა რომელიმე სამართლებრივ აქტს, არამედ მხოლოდ გაფორმებულ ხელშეკრულებასა და ამ ხელშეკრულებით სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებას. კერძოდ, ხელშეკრულება შპს „პრემიუმ რეზიდენსთან“ (სს „გრინვეი საქართველოს“ უფლებამონაცვლე) ითვალისწინებს, რა შემთხვევაში შეიძლება ახალი მოწვევის გამოცხადება, რაც გულისხმობს, იმას, რომ თუ მოწვევის საფუძველი გათვალისწინებულია ხელშეკრულებით, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია სამინისტროს მოწვევის გამოცხადება და შესაბამისად, ბაზარზე ახალი სუბიექტების დაშვება.

სამინისტრომ დაადასტურა ისიც, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს რაიმე ნორმატიული აქტი, რომელიც ჩაკეტავდა ან/და გარკვეულ შეზღუდვას დააწესებდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების მომსახურების ბაზარზე.

უშუალოდ აკრედიტაციის პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებით, სამინისტროსთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ აკრედიტაციის ცენტრი აკრედიტაციის გაცემის პროცესში ხელმძღვანელობს სამინისტროს მიერ წარდგენილი პოზიციით, თუმცა, ასევე, ადასტურებს, რომ არ არსებობს კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი (ნორმატიული აქტი), რომელიც ითვალისწინებს აკრედიტაციის პროცესში სამინისტროს ჩართულობას ან/და აკრედიტაციის ცენტრს ავალდებულებს, აკრედიტაციის პროცესი წარმართოს სამინისტროსთან შეთანხმების საფუძველზე. ასეთ საფუძვლად, ისევე როგორც ზემოთ მითითებულ შემთხვევებში, სამინისტროს წარმომადგენელი ასახელებს სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულებით აღებულ

[4] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2022 წლის 24 ივნისის N 03/128 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი სხდომის ოქმი N1 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერი

ვალდებულებას. მისი განცხადებით, აკრედიტაციის პროცესში ცენტრი დამოუკიდებელია და სამინისტროს მიერ ხელშეკრულებების გაფორმება არ წარმოადგენდა ამ პროცესში ჩარევას.

სააგენტოს კითხვაზე, თუ როგორ ხდებოდა სამინისტროს აზრის დაფიქსირება აკრედიტაციის ცენტრთან და სამინისტროს რა სახის ჩართულობა ჰქონდა აკრედიტაციის განხილვის პროცესში, აღინიშნა, რომ სამინისტროსთვის მიმართვა ხდება წერილობით, ხოლო სამინისტროს პოზიციის სამართლებრივ სახესთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პოზიციის გათვალისწინება ბაზარზე უკვე არსებული მდგომარეობის/ბალანსის შენარჩუნებისთვისაა სავალდებულო.

5.2. საკონსულტაციო შეხვედრა შპს „ეპიცენტრთან“

2022 წლის 26 ივლისს გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა შპს „ეპიცენტრთან“. სხდომა ჩატარდა ონლაინ, ზუმის პლატფორმის გამოყენებით,[5] ვინაიდან მომჩივანის მსგავსად, ხსენებულ კომპანიასაც ჰქონდა მცდელობა შესულიყო ბაზარზე და მასაც, იმავე მოტივით უარი ეთქვა აკრედიტაციის გაცემაზე აკრედიტაციის ორგანოს მხრიდან.

„ეპიცენტრის“ განცხადებით, მათ 2021 წლის 5 თებერვალს („დამატებითი პირობების“ გაუქმების შემდეგ) ავტომობილების ტენიქნიკური ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის მიღების მიზნით აკრედიტაციის ცენტრში წარადგინეს განაცხადი შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად, თუმცა, წარმოება აკრედიტაციის განაცხადზე არ დაწყებულა. განაცხადზე წარმოების არდაწყება კომპანიამ გაასაჩივრა სასამართლოში და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მათი სარჩელი და აკრედიტაციის ცენტრს დაევალა ხელშეკრულების გაფორმება.[6]

კომპანიის თქმით, სამინისტროს აღარ მიაჩნია მიზანშეწონილად ბაზარზე სხვა ვინმე შევიდეს, რადგან უკვე არსებობს გაფორმებული ხელშეკრულება და შეზღუდულია კონკურენცია. იგი არა მარტო ახალ სუბიექტს არ უშვებს ბაზარზე, არამედ არ იძლევა არსებულის გაფართოების საშუალებასაც. შპ „ეპიცენტრის“ წარმომადგენლის განცხადებით, სამინისტრო არ აცხადებს ახალ მოწვევას და სწორედ ეს წარმოადგენს მისი მხრიდან ბაზრის შეზღუდვას. ბაზარზე არსებულ ბარიერებთან დაკავშირებით შპს „ეპიცენტრმა“ აღნიშნა, რომ სამინისტრო მხოლოდ საკუთარი შეხედულებით იღებს გადაწყვეტილებას და მათი მიერ გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები არაა დასაბუთებული. ბაზარზე შესვლის ბარიერს ქმნის აკრედიტაციის ცენტრიც, რადგან აკრედიტაციის გაცემაზე უარის თქმა უშუალოდ ცენტრის მიერ ხდება, ხოლო სამინისტრო არ არის აღნიშნული ქმედების განმახორციელებელი. ამ ფაქტის დასტურად აღნიშნა ისიც, რომ მათ მიერ აკრედიტაციის

[5] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2022 წლის 26 ივლისის N03/171 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი საკონსულტაციო სხდომის ოქმი N2 და შესაბამისი დანართი აუდიო ფაილები

[6] შპს „ეპიცენტრის“ 2022 წლის 15 დეკემბრის N01/2323 წერილით წარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმე N[redacted]

წინააღმდეგ წარმოებულ დავაში სასამართლომ უარი თქვა სამინისტროს სასარჩელო წარმოებაში მესამე პირად ჩართვაზე, რადგან ის არ წარმოადგენდა დაინტერესებულ მხარეს, შესაბამისად, სამინისტროს სამართლებრივად კავშირი არ აქვს აკრედიტაციის პროცესთან.

„ეპიცენტრის“ განცხადებით, შესაძლოა, მის გარდა, დაახლოებით, ცხრა ეკონომიკური აგენტი არსებობდეს, რომელთაც მსგავსი პრობლემები შეექმნათ აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებით.[7]

5.3. საკონსულტაციო შეხვედრა შპს „აუტოტესტ გეორგიასთან“

საკონსულტაციო შეხვედრა შპს „აუტოტესტ გეორგიასთან“ გაიმართა 2022 წლის 28 ივლისს - Zoom-ის პროგრამის გამოყენებით.[8]

შპს „აუტოტესტ გეორგია“ პრობლემად მიიჩნევს იმას, რომ აკრედიტაციის გაცემაზე ან/და აკრედიტაციის სფეროს გაფართოებაზე აკრედიტაციის ცენტრის უარი ეფუძნება არა სამართლებრივ საფუძვლებს, არამედ ერთ კონკრეტულ სუბიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, რის შედეგადაც, ბაზარზე მოქმედ თუ პოტენციურ აგენტებს არ ეძლევათ აკრედიტაციის მიღებისა და გაფართოების შესაძლებლობა, რაც, საბოლოო ჯამში, ზღუდავს კონკურენციას შესაბამის ბაზარზე.

ეკონომიკური აგენტის განმარტებით, ზოგადად, ინსპექტირების განმახორციელებელი ცენტრებისთვის პრობლემურია ადგილის ცვლილება, თუ სს „გრინვეი საქართველოს“ (ახლანდელი შპს „პრემიურ რეზიდენსი“) შეუფერხებლად შეუძლია ამის გაკეთება, თუმცაღა აღნიშნული შეზღუდული აქვთ სხვა ცენტრებს, ამის მაგალითად „აუტოტესტ გეორგიას“ წარმომადგენელს მოჰყავს შემთხვევა, როცა აკრედიტაციის ცენტრმა უარი უთხრა მას აკრედიტაციის გაგრძელებაზე იმ მოტივით, რომ „აუტოტესტ გეორგია“ ცვლიდა ცენტრის ადგილს. აკრედიტაციის ცენტრის უარის თქმის დღესვე კი სს „გრინვეი საქართველომ“ ერთ-ერთი ხაზი გადაიტანა სხვა ადგილზე.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მათ 2021 წლის 3 თებერვლამდე (2020 წლის 15 ოქტომბერს) მიმართეს აკრედიტაციის ცენტრს დამატებითი სფეროს აკრედიტაციაზე განაცხადით (სფეროს გაფართოებაზე). კომპანიის წარმომადგენლის თქმით, განაცხადის წარდგენის მოტივაცია იყო ის, რომ შპს „აუტოტესტ გეორგიასთან“ ხელშეკრულება სს „გრინვეი საქართველოსთან“ ხელშეკრულების გაფორმებამდე იყო დადებული, შესაბამისად, „აუტოტესტ გეორგია“ ვერ იქნებოდა შეზღუდული გრინვეისთან დადებული ხელშეკრულების ექსკლუზიურობით და აკრედიტაციის გაგრძელების განხილვისას არ უნდა ემსჯელათ სს „გრინვეი საქართველოსთან“ დადებული ხელშეკრულების ფარგლებში.

---

[7] სააგენტო დაუკავშირდა შპს „ეპიცენტრის“ მხრიდან დასახელებულ კომპანიებს (2022 წლის 29 ივლისის N531, N532 და N533 წერილები), რათა მიეღო ინფორმაცია აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებით შექმნილი შესაძლო სირთულეების შესახებ, თუმცაღა სააგენტოს საპასუხო წერილები არ მიუღია

[8] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2022 წლის 28 ივლისის N03/178 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი საკონსულტაციო სხდომის ოქმი N3 და შესაბამისი დანართი აუდიო ფაილები

„აუტოტესტ გეორგიას“ სხდომაზე დაესვა კითხვა, თუ რა ბარიერებს ხედავდა ტექნიკური ინსპექტირების მომსახურების ბაზარზე, რაზეც პასუხად „აუტოტესტ გეორგიას“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ტექნიკური ინსპექტირების მომსახურების ბაზარი არის ჩაკეტილი, არ ხდება მისი გაფართოება, ახალი სუბიექტების დაშვება ბაზარზე - თავად „აუტოტესტ გეორგიასაც“ არ მიეცა ცენტრის სხვა ადგილზე გადატანის საშუალება.

შპს „ეპიცენტრის“ მსგავსად, შპს აუტოტესტ გეორგიას“ წარმომადგენელმაც აღნიშნა, რომ, მათი ინფორმაციით, აკრედიტაციის პროცესში პრობლემები შეექმნათ, ასევე, სხვა ეკონომიკურ აგენტებსაც.

ნაწილი 6. ახსნა-განმარტებითი შეხვედრები

6.1. ახსნა-განმარტებითი შეხვედრა მომჩივანთან

მოკვლევის მიმდინარეობის პროცესში საქმისთვის არსებითი გარემოებების დაზუსტებისა და დადგენის მიზნით, აგრეთვე, დამატებით მხარეებისათვის საკუთარი პოზიციისა და განმარტებების დასაფიქსირებლად სააგენტოში გაიმართა ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომები მხარეებთან.

2022 წლის 15 ნოემბერს გაიმართა ახსნა-განმარტებითი შეხვედრა მომჩივან მხარესთან - ი/მ შოთა ლომინაშვილთან.[9]

მომჩივანმა ახსნა-განმარტებით შეხვედრაზე, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა აკრედიტაციის ორგანოს მიერ აკრედიტაციის გაცემაზე უარის[10] დასაბუთებაში მითითებულ გარემოებაზე, რომლის მიხედვითაც - „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული ღია კონკურსის საფუძველზე, უკვე არსებობს შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობები სამინისტროსა და შესაბამის ინსპექტირების ცენტრებს შორის, რომელიც წარმოადგენს **<u>ერთგვარ წინაპირობას</u> ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაციასთან დაკავშირებული პროცესების სამართლებრივად წარსამართად.“**

მომჩივანის განცხადებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ერთ კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტთან დადებული ხელშეკრულება არ შეიძლება იყოს სხვა ეკონომიკურ აგენტებთან ურთიერთობის საფუძველი. აღნიშნული ხელშეკრულებით შესაბამის სუბიეტს შეექმნა მონოპოლიური მდგომარეობა, რაც ბაზრის სხვა სუბიეტებს ართმევს შესაძლებლობას შევიდნენ ბაზარზე.

---

[9] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის 2022 წლის 15 ნოემბრის N03/324 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N1 და შესაბამისი დანართი აუდიო ფაილი

[10] აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის 2021 წლის 6 დეკემბრის წერილი NN№ GAC-01/976 შოთა ლომინაშვილისადმი

სხდომაზე მომჩივანმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ 2022 წლის 3 თებერვლის შემდგომ, რაც გაუქმა აკრედიტაციის დამატებითი პირობები, ბაზარი, მისთვის, როგორც ბაზრის პოტენციური სუბიექტისათვის, რომელსაც განზრახვა და მცდელობა აქვს შევიდეს ბაზარზე, ჩაკეტილია არასამართლებრივი საფუძვლებით. შესაბამისად, აკრედიტაციის ცენტრის უარი აკრედიტაციის მინიჭებაზე, მისი მხრიდან განხილულია, როგორც ბაზრის ჩაკეტვა და მისი, როგორც მეწარმის საქმიანობისათვის ხელის შეშლა.

მომჩივანმა, ასევე მიუთითა, რომ მისი ინფორმაციით, 2018 წლის რეფორმის შემდგომ ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ოპერირება დაიწყო კონკრეტულმა ტექნიკური ინსპექტირების ცენტრმა, თუმცა სხვა დეტალები მისთვის უცნობია.

აღნიშნული ინფორმაცია, სააგენტოს მიერ გადამოწმდა[11] აკრედიტაციის ცენტრთან, რომელმაც საპასუხო წერილში[12] განმარტა, რომ 2018 წლის რეფორმის დასრულების შემდგომ აკრედიტაციის ცენტრში არ შესულა განაცხადი ქუთაისის ტერიტორიაზე პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ორგანოს პირველად აკრედიტაციაზე. ზოგადად კი, ქუთაისის მასშტაბით ოპერირებს 4 აკრედიტირებული პირი - ინსპექტირების ორგანო.

6.2. ახსნა-განმარტებითი შეხვედრა მოპასუხესთან

2022 წლის 28 ნოემბერს 12:00 საათზე, დისტანციურად, ზუმის პროგრამის საშუალებით გაიმართა ახსნა-განმარტებითი შეხვედრა მოპასუხე მხარესთან აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენელთან (იურისტთან).

მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა სხდომაზე აღნიშნა, რომ ყოველი ინსპექტირების ორგანოსა და სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში სამინისტროს აღებული აქვს სპეციფიური ვალდებულებები, რომელიც კონკრეტულ კონტრაჰენტ ინსპექტირების ორგანოზე მორგებული. ასეა „გრინვეი საქართველოსთან“ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაშიც, ვინაიდან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ბაზარზე ინსპექტირების ახალი ორგანოს შემოსვლისათვის სპეციალური რეგულაციებია დაწესებული, რის შედეგადაც, მხოლოდ აკრედიტაციის ცენტრისადმი მიმართვა და შესაბამისი პროცედურების წარმართვა საკმარისი არ არის.

2018 წლის რეფორმის შემდგომ რეფორმამდე ბაზარზე უკვე ოპერირებადი სუბიექტები ჩვეულებრივ აგრძელებენ საქმიანობას, ხოლო **ახალი აკრედიტაციის გაცემა ანდა აკრედიტაციის სფეროს გაფართოება ექვემდებარება სწორედ ზემოხსენებული ხელშეკრულების საფუძველზე აღებული ვალდებულებების შესრულებას.**

აკრედიტაციის ცენტრების მიმართ მოთხოვნებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ინსპექტირების ცენტრების

[11] სააგენტოს 2022 წლის 29 ნოემბრის წერილი N02/1195

[12] აკრედიტაციის ცენტრის 2022 წლის 9 დეკემბრის N01/2286 წერილი

შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით, ამ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის №511 დადგენილებით, ხოლო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების მიმართ აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესი მოცემულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს N301 დადგენილებაში. სწორედ ეს უკანასკნელი უთითებს, რომ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის N511 დადგენილებით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციის დამატებითი პირობები, შესაძლებელია, განისაზღვროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულებით. შესაბამისად, აკრედიტაციის ცენტრის განმარტებით, სამინისტროს შესაძლებლობა აქვს საჭიროების შემთხვევაში კვლავ შემოიღოს აკრედიტაციის დამატებითი პირობები, თუმცაღა აქვე აღინიშნა, რომ 2021 წლის 3 თებერვლის შემდგომ, მას შემდეგ რაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 3 თებერვლის №1-1/27 ბრძანების საფუძველზე, აკრედიტაციის ცენტრის დებულებიდან ამოღებული იქნა „დამატებითი პირობები“, **აკრედიტაციის მაძიებელთათვის დამატებითი მოთხოვნები კანონმდებლობით გათვალისწინებული აღარ არის.**

სხდომაზე განიმარტა, რომ აკრედიტაციის მაძიებლის განცხადების მიმართვის შემთხვევაში აკრედიტაციის ორგანო შესაბამის განაცხადს უგზავნის ეკონომიკის სამინისტროს, რათა მისგან მოისმინოს შესაბამისი პოზიცია, ვინაიდან ამ შემთხვევაში, აკრედიტაციის პროცესი წარიმართება იმ „ხელშეკრულებების სამართლებრივი შედეგების“ გათვალისწინებით, რომელიც დადებულია სამინისტროსა და შესაბამის ინსპექტირების ორგანოს შორის.

რაც შეეხება აკრედიტაციის მინიჭების პროცესში სამინისტროს მონაწილეობას, მოპასუხის განმარტებით, აკრედიტაციის გაცემის ადმინისტრაციული წარმოების პროცესში სამინისტროსთან შეთანხმების სავალდებულოობა პროცედურულ-ნორმატიულად გაწერილი არ არის საკანონმდებლო ნორმებით, არამედ გამომდინარეობს ისევ და ისევ სამინისტროს მიერ დადებული შესაბამისი ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებებიდან.

ნაწილი 7. გადაწყვეტილების პროექტის გაცნობა და შემაჯამებელი სხდომა

„საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის“ 27-ე მუხლის 1-ლი და მეორე პუნქტების შესაბამისად, მოკვლევის ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების პროექტის მომზადების შემდგომ, მხარეებსა და განმცხადებელს შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტი და საქმის მასალები

(კონფიდენციალურობის დაცვით) გადაეგზავნათ კანონით დადგენილ ვადაში[13] და ეთხოვათ საკუთარი პოზიციისა და მოსაზრებების წარმოდგენა არაუგვიანეს 2023 წლის 7 მარტისა.

გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია წარმოადგენის მოპასუხე მხარემ[14] და განმცხადებელმა.[15]

2023 წლის 10 მარტს გაიმართა შემაჯამებელი სხდომა.[16] სხდომას დისტანიურად ესწრებოდა მომჩივანი მხარე - ი/მ შოთა ლომინაშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ ეთანხმება სააგენტოს მიერ შემუშავებულ გადაწყვეტილებას. სხდომას აგრეთვე, ესწრებოდა განმცხადებელი ასოციაციის წარმომადგენელი ლ.ა., რომელმაც მიუთითა, რომ სააგენტომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში უნდა გასცეს რეკომენდაცია, იმასთან დაკავშირებით, რომ აკრედიტაციის განაცხადის წარდგენის შემდეგ აკრედიტაციის ცენტრის მიერ სამინისტროში წერილის გაგზავნა სამინისტროს პოზიციის მისაღებად არის კანონშეუსაბამო პრაქტიკა. განმცხადებელს განემარტა, რომ სააგენტოს კომპეტენციის ფარგლები განსაზღვრულია კანონით და მის კომპეტენციაში არ შედის ადმინისტრაციული ორგანოსათვის მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის განხილვისას ადმინისტრაციულ-პროცედურული თვალსაზრისით სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობისა და კოორდინაციის საკითხზე მითითებების გაცემა.

შემაჯამებელ სხდომაზე მონაწილეობას იღებდა მოპასუხე მხარის წარმომადგენელი, რომელმაც მიუთითა, რომ არ ეთანხმება სააგენტოს გადაწყვეტილებას, რადგანაც მომჩივანს აკრედიტაციის ცენტრისთვის არ მიუმართავს და შესაბამისად, არ ჰქონია განცხადების განხილვის შესაძლებლობა, ამასთან არ არსებობს მომჩივანისათვის ქონებრივი ზიანის ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით სააგენტომ მხარეს განუმარტა, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, ცხადად და ერთმნიშვნელოვნად დგინდება მომჩივანი ეკონომიკური აგენტის მხრიდან სამინისტროსადმი მიმართვისა[17] და ამ მიმართვაზე აკრედიტაციის ცენტრის წერილობითი უარი.[18] ამასთან, აკრედიტაციის ცენტრის უარი შეეხებოდა არა განცხადების წარდგენის პროცედურას ან/და ფორმას, არამედ უარით პასუხი იყო გაცემული მომჩივანის მოთხოვნაზე აკრედიტაციის პროცედურის დაწყებასა და განხორციელებაზე, რამაც გამოიწვია მომჩივანისათვის, როგორც ინდივიდუალური მეწარმისა და ეკონომიკური აგენტისათვის (პოტენციური ეკონომიკური აგენტისათვის) სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შეფერხება. ამასთან, სააგენტომ ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისა და ბაზრის სუბიექტების მოკვლევის ფარგლებში, დაადგინა, რომ აკრედიტაციის ცენტრისადმი უშუალო მიმართვის შემდეგ აკრედიტაცია იმავე მოტივით არ

[13] სააგენტოს 2023 წლის 11 იანვრის N02/92, N02/96, N02/97 წერილები
[14] აკრედიტაციის ცენტრის 2023 წლის 6 მარტის წერილი N01/767
[15] ა(ა)იპ ავტომომობილების ინსპექტირების ასოციაციის წარმომადგენლის 2023 წლის 6 მარტის წერილი N01/754
[16] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის 2023 წლის 10 მარტის მოხსენებითი ბარათი N03/149
[17] ი/მ შოთა ლომინაშვილი 2022 წლის 28 იანვრის NN№01/165 დაზუსტებული საჩივრით წარმოდგენილი დანართი
[18] ი/მ შოთა ლომინაშვილი 2022 წლის 28 იანვრის NN№01/165 დაზუსტებული საჩივრით წარმოდგენილი დანართი

გაიცა სხვა ეკონომიკურ აგენტზეც.[19] დეტალურად კი, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სააგენტოს გადაწყვეტილების შეფასებით ნაწილში აქვს ნამსჯელი.

თავი II. ნორმატიული რეგულირება

ნაწილი 1. კონკურენციის კანონმდებლობა

1.1. კონკურენციის კანონმდებლობის მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე“.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) პირველი მუხლის თანახმად, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. ამავე კანონის მე-2 მუხლის თანახმად კი, მისი მიზანია, ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა, ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისთვის სათანადო პირობების შექმნა, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა და ა.შ.

კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამავე კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულების უფლებამოსილების მქონე ორგანო არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – „სააგენტო“). სააგენტოს ძირითადი ამოცანაა კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშეწყობისთვის პირობების შექმნა და დაცვა, ამ მიზნით ყველა სახის ანტიკონკურენტული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა.

[19] ა(ა)იპ საქართველოს ავტომობილების ინსპექტირების ცენტრების ასოციაციის 2022 წლის 15 მარტით წარმოდგენილი დანართი (აკრედიტაციის ცენტრის 2022 წლის 9 თებერვლის #GAC-03/105 წერილი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის 8 აპრილის N 04/2181 წერილი)

სააგენტოში საჩივრის და განცხადებების წარმოდგენის და აგრეთვე სადავო ქმედების განხორციელების დროს მოქმედი კანონის მე-10 მუხლი ე.წ. Numerus Clausus-ის პრინციპის მიხედვით, ამომწურავად განსაზღვრავს იმ ქმედებათა ჩამონათვალს, რომელთა განხორციელებაც ეკრძალებათ სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, კერძოდ:

ა) კავშირის, ასოციაციის, გაერთიანების ან სხვა სახის სამეწარმეო სტრუქტურის შექმნა, თუ ეს იწვევს კონკურენციის შესუსტებას ან შეზღუდვას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) ეკონომიკური აგენტისთვის ისეთი შეღავათის დაწესება, რომელიც მას კონკურენტებთან ან პოტენციურ კონკურენტებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) ეკონომიკური აგენტის ეკონომიკური საქმიანობის ან/და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან სხვაგვარად შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ) საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციისთვის სახელმწიფო სტრუქტურის შექმნა ან არსებული სახელმწიფო სტრუქტურისთვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც შეზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ე) ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ეკონომიკურ აგენტს დომინანტურ მდგომარეობას უქმნის, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნასა და კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

1.2. კონკურენციის კანონმდებლობის პროცედურული ნაწილი

კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტო სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოსთან ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან მიმართებით უფლებამოსილია, ამავე კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით განახორციელოს საქმის მოკვლევა წარდგენილი საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით; კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ ორგანოს მოსთხოვოს შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის, ხოლო ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღნიშნული საკითხი დასვას ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე. დასახელებულ ორგანოებთან მიმართებით, სააგენტო აგრეთვე უფლებამოსილია, კანონის დარღვევის შემთხვევაში, წარუდგინოს დასაბუთებული გადაწყვეტილება და შესაბამისი რეკომენდაცია ამ ორგანოს მიერ მიღებული კანონის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების ან განხორციელებული კანონის საწინააღმდეგო ქმედების თაობაზე, მათ

შორის, მოსთხოვოს ამ გადაწყვეტილების გაუქმება ან ქმედების აკრძალვა, ხოლო აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, შესაბამისი საკითხი განსახილველად დასვას ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე. სააგენტო აგრეთვე უფლებამოსილია, ზემოთ დასახელებულ ორგანოს წარუდგინოს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციები საქართველოს სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების, შესაბამის ბაზარზე შესვლის საკანონმდებლო ბარიერების ან/და ადმინისტრაციული ბარიერების არსებობისა და მათი აღმოფხვრის საჭიროების თაობაზე და ა.შ.

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები. მომჩივანი მხარედ განიხილება და ეკისრება მტკიცების ტვირთი. კანონის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მომჩივანი წარმოადგენს ეკონომიკური აგენტს, რომელსაც მიაჩნია, რომ კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მას უშუალოდ ადგება ქონებრივი ზიანი, რაზედაც შესაბამისი საჩივრით მიმართავს სააგენტოს.

კანონის 25-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, ასევე, „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის თანახმად, სააგენტო საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იწყებს საქმის მოკვლევას და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას 6 თვის ვადაში. საქმის მოკვლევა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაძლებელია გაგრძელდეს სააგენტოს მიერ განსაზღვრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს 18 თვემდე.

კანონის 25-ე მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტების შესაბამისად, სააგენტო შემაჯამებელი სხდომის გამართვამდე განმცხადებელსა და მხარეს წერილობით უგზავნის სააგენტოს საბოლოო გადაწყვეტილების პროექტსა და საქმის მასალებს. ამასთანავე, განმცხადებელსა და მხარეს განემარტებათ, რომ მათ უფლება აქვთ, წარმოადგინონ თავიანთი პოზიციები და შესაბამისი დამატებითი ინფორმაცია (მტკიცებულებები). განმცხადებლისა და მხარის მიერ თავიანთი პოზიციების წარმოდგენისათვის განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს 25 სამუშაო დღეზე ნაკლები. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ წარდგენილი ინფორმაცია სააგენტომ შეიძლება არ გაითვალისწინოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას. სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის განხორციელების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები და კვლევები საჯაროა, გარდა კანონის მე-20 მუხლით განსაზღვრული კონფიდენციალური ინფორმაციისა.

ნაწილი 2. ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების აკრედატაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა

2.1. პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების ცენტრების აკრედიტაციის სამართლებრივი რეგულირების ზოგადი ჩარჩო

„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში არსებული და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას აკრედიტაციის ცენტრის მიერ შესაბამის სფეროში აკრედიტებულ ინსპექტირების ცენტრებში, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 პუნქტით იმპერატიულად დადგენილია, რომ ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაცია ხორციელდება აკრედიტაციის ცენტრის მიერ დამტკიცებული აკრედიტაციის სისტემის წესებისა და პროცედურების შესაბამისად. ამავე კანონის მე-11 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების მიხედვით, კანონმდებელმა საქართველოს მთავრობას აკრედიტაციის სფეროში მიანიჭა ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების, აგრეთვე პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების მიმართ, ინსპექტირების პერიოდულობისა და საფასურების ნორმატიული აქტის მეშვეობით განსაზღვრის უფლებამოსილება.

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 96-ე მუხლის პირველი ნაწილი ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ აკრედიტაცია არის ოფიციალური საექსპერტო შეფასება, რომლის საფუძველზე აკრედიტაციის ცენტრი, აკრედიტაციის მოწმობის გაცემით, ოფიციალურად აღიარებს შესაბამისობის შემფასებელი პირის კომპეტენტურობას შესაბამისობის შეფასების სფეროში განსაზღვრული (სპეციფიკური) საქმიანობის განხორციელებისათვის, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილი განსაზღვრავს, რომ აკრედიტაციის ცენტრი ახორციელებს სხვადასხვა ტიპის ლაბორატორიების, სერტიფიკაციის ორგანოების (გარდა „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისა), ინსპექტირების ორგანოების (მათ შორის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების, დაკანონებული გაზომვის საშუალებების დამამოწმებელი პირის) აკრედიტაციას როგორც საქართველოში, ისე მისი ფარგლების გარეთ, დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში. ამავე კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით აგრეთვე დადგენილია, რომ სხვადასხვა ტიპის შესაბამისობის შემფასებელ პირთა აკრედიტაცია ხორციელდება აკრედიტაციის ცენტრის მიერ მიღებული იმ წესებისა და პროცედურების საფუძველზე, რომლებიც ეფუძნება შესაბამის, აკრედიტაციის სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული ორგანიზაციების მიერ მიღებულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო დოკუმენტებს, ხოლო, ამავე მუხლის მე-3

ნაწილის მიხედვით, აკრედიტაციის ცენტრი აკრედიტაციას ახორციელებს დაინტერესებულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ხსენებული კოდექსის 99-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, აკრედიტაციის ცენტრს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კანონის მიზნების განსახორციელებლად გამოსცემს ნორმატიულ აქტებს – ბრძანებებს და ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტებს – განკარგულებებს, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილი მკაფიოდ ადგენს, რომ აკრედიტაციის ცენტრი ახორციელებს შესაბამისობის შემფასებელ პირთა აკრედიტაციის, აკრედიტებული პირების მიერ აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგსა და ზედამხედველობას, აგრეთვე შეიმუშავებს აკრედიტაციის წესებსა და პროცედურებს.

საბოლოოდ, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ აკრედიტაციის ცენტრი თავის საქმიანობის განხორციელებაში წარმოადგენს დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ორგანოს, რის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 მარტის №1-1/330 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის ცენტრის დებულების“ პირველი მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც ნორმატიულ დონეზე დეკლარირებას აკეთებს, რომ **აკრედიტაციის ცენტრი სახელმწიფო კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს თავის საქმიანობას, მათ შორის ინსპექტირების ორგანოების აკრედიტაციას.**

2.2. პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაციის სამართლებრივი საფუძვლები

რაც შეეხება უშუალოდ პტი ცენტრების აკრედიტაციის სამართლებრივ საფუძვლებს, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაცია ხორციელდება აკრედიტაციის ცენტრის მიერ დამტკიცებული აკრედიტაციის სისტემის წესებისა და პროცედურების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა აკრედიტაციის ცენტრს მიანიჭა უფლებამოსილება, ნორმატიულად დაარეგულიროს აკრედიტაციის განხორციელება. შედეგად, ზემოხსენებული საკანონმდებლო საფუძვლით აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის *2020 წლის 10 აპრილის №01-1 ბრძანებით დამტკიცებულია „აკრედიტაციის წესები და პროცედურები“* (შემდგომში - „აკრედიტაციის წესები“).

აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის წესების“ პირველი მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ აკრედიტაციის საერთო წესებისა და პროცედურის მიზანი და ამოცანებია **აკრედიტაციის ცენტრის მიერ შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს/პირის აკრედიტაციასთან დაკავშირებული განაცხადების მიღების, დამუშავების, შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების** პროცედურების დადგენა საქართველოს კანონმდებლობისა და

შესაბამისი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების შესაბამისად, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ **აკრედიტაციის ცენტრი თავად წარმართავს აკრედიტაციის პროცესს** და პასუხისმგებელია შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებაზე, მათ შორის, აკრედიტაციის მინიჭების, აკრედიტაციის შენარჩუნების, აკრედიტაციის სფეროს გაფართოების, აკრედიტაციის შემცირების, აკრედიტაციის შეჩერების ან გაუქმების თაობაზე. ამავე მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს, რომ აკრედიტაციის ცენტრი საქმიანობას წარმართავს დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად და არადისკრიმინაციულად საქართველოს კანონმდებლობის, აკრედიტაციის წესებისა და პროცედურების, შესაბამის აკრედიტაციის სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული ორგანიზაციების მიერ მიღებული სტანდარტებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების საფუძველზე.

„აკრედიტაციის წესების“ მე-3 მუხლი განსაზღვრავს აკრედიტაციის პროცესის ძირითად ეტაპებს, მე-4 და მე-5 მუხლები კი შესაბამისობის შემფასებელი პირის მიერ აკრედიტაციის მისაღებად განაცხადის წარდგენისა და აკრედიტაციის ცენტრის მიერ აღნიშნული განაცხადის განხილვის სამართლებრივ საფუძვლებს.

„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით, ამ შემთვევაში სახეზეა საქართველოს მთავრობის მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის №511 დადგენილებით დამტკიცებულია ტექნიკური რეგლამენტი – „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე”, რომლის პირველი მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, რომ ხსენებული ტექნიკური რეგლამენტი ადგენს მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის შენობა-ნაგებობები, აღჭურვილობა და პერსონალი.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 99-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და მე-12 ნაწილის “ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების მიმართ მოთხოვნები, მისი პერიოდულობა და საფასურები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით, ამ შემთვევაში, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების მიმართ აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესი მოცემულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს N301 დადგენილებით დამტკიცებულ წესში. აღნიშნული აქტი ადგენს აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესს აკრედიტაციას დაქვემდებარებულ სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების სფეროში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ხსენებულ „აკრედიტაციის წესებში“ მოცემული არ არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაციის პროცესში მონაწილეობის და გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან „აკრედიტაციის წესების“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს აკრედიტაციასთან დაკავშირებით (აკრედიტაციის მინიჭება, აკრედიტაციის შენარჩუნება, აკრედიტაციის სფეროს გაფართოება, აკრედიტაციის შეჩერება, აკრედიტაციის შემცირება და აკრედიტაციის გაუქმება) მიიღება აკრედიტაციის კომიტეტის მიერ მე-18 მუხლის შესაბამისად, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შეფასების ანგარიშის, მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელების შესახებ ინფორმაციისა და სხვა თანდართული მასალების განხილვის შედეგად, აკრედიტაციის კომიტეტი მე-18 მუხლის შესაბამისად, 7 სამუშაო დღის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციაზე. გადაწყვეტილება ფორმდება აკრედიტაციის კომიტეტის ოქმის სახით. ამავე მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ აკრედიტაციის კომიტეტის გადაწყვეტილებას აკრედიტაციაზე 7 სამუშაო დღის ვადაში ადასტურებს აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი ან მისი ერთ-ერთი მოადგილე, რის შემდეგაც გადაწყვეტილება აკრედიტაციაზე 5 სამუშაო დღის ვადაში ფორმდება აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის შესაბამისი განკარგულებით, საბოლოოდ კი, გაიცემა აკრედიტაციის მოწმობა. აკრედიტაციის მოწმობასთან ერთად შესაბამისობის შემფასებელ ორგანოს გადაეცემა აკრედიტაციის მოწმობის დანართი, რომელშიც მოცემულია აკრედიტაციის სფერო, რომელიც წარმოადგენს აკრედიტაციის მოწმობის განუყოფელ ნაწილს.

2.3. პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაციის დამატებითი/სპეციფიკური მოთხოვნების გაუქმება

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 იანვრის №583 დადგენილებით ცვლილება შევიდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №301 დადგენილებაში“ (შემდგომში - „№301 დადგენილება”), რომლის მიხედვითაც დადგენილებას დაემატა მე-12 პუნქტი, შემდეგი შინაარსით: „ტექნიკური რეგლამენტის – „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის №511 დადგენილებით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციის დამატებითი პირობები, მათ შორის, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის შესაბამისი უფლებამოსილი პირისათვის წარდგენის ვალდებულება, შესაძლებელია განისაზღვროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საჯარო

სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულებით“.

შედეგად, №301 დადგენილების მე-12 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 8 იანვრის №1-1/5 ბრძანებით („საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 მარტის №1–1/330 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”) ცვლილება შევიდა აკრედიტაციის ცენტრის დებულებაში, რომლითაც განისაზღვრა ტექნიკური რეგლამენტის – „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების“ დამტკიცების თაობაზე“ 2017 წლის 1 დეკემბრის №511 დადგენილებით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციის დამატებითი პირობები (შემდგომში - „დამატებითი პირობები“).

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ დამატებითი პირობები შინაარსობრივად მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ზოგადი დებულებები, აკრედიტაციის მიღების პირობები, დაინტერესებული პირების მიერ შერჩევის პროცესში მონაწილეობის პირობები, არსებული ცენტრების მიერ აკრედიტაციის მოპოვების პირობები, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიას და ხელშეკრულების ხელმოწერის საფასური, შერჩევის პროცესის ჩატარების წესი და გამარჯვებულის გამოვლენას, გარიგებათა გაფორმების წესი, გამარჯვებული პირის პასუხისმგებლობა და სამინისტროს განცხადებები.

საბოლოოდ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 3 თებერვლის №1-1/27 ბრძანების საფუძველზე, („საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 მარტის № 1-1/330 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“) აკრედიტაციის ცენტრის დებულებიდან ამოღებული იქნა აკრედიტაციის „დამატებითი პირობები“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ზემოხსენებული „დამატებითი პირობების“ მოქმედება შეწყდა 2021 წლის 4 თებერვლიდან. შედეგად, დღეის მდგომარეობით, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციისათვის კონკრეტული, დამატებითი პირობები ნორმატიულ დონეზე აღარ არსებობს.

2021 წლის 4 თებერვლიდან დღემდე პტი აკრედიტაციის დამატებითი პირობების ნორმატიულ დონეზე არ არსებობის ფაქტი დადასტურებულ იქნა, როგორც მოპასუხე აკრედიტაციის ცენტრის მხრიდან ახსნა-განმარტებით სხდომაზე, ეგრეთვე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხრიდან შესაბამის საკონსულტაციო სხდომაზე.

თავი III. პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაციასთან დაკავშირებული სასამართლო დავები

საქმის მოკვლევის ფარგლებში, ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას სააგენტოს მიერ მიღებულ, გამოთხოვილ და დამუშავებულ იქნა მიმდინარე თუ დასრულებული სასამართლო საქმეები, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა ეკონომიკური აგენტების მიმართ აკრედიტაციის გაცემაზე უართან.

აღნიშნულ დავების შესახებ ინფორმაციის მიღება რელევანტურია იმდენად, რამდენადაც იგი იძლევა წარმოდგენას, ერთი მხრივ, ბაზარზე არსებული ზოგადი მდგომარეობის შესახებ - რამდენად ხდება ბაზარზე ახალი აგენტების შედინება/დაშვება, ხომ არ არის სახეზე ბარიერები, თუ კი - რა სახის ბარიერები წარმოიშვება, ხომ არ არის აღნიშნული ბარიერები დაკავშირებული სააგენტოში მიმდინარე საქმის მოკვლევის ფარგლებში გამოვლენილ შესაძლო ბარიერებთან, რამდენად ხშირია ბაზარზე დაშვების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვა, რა საფუძვლით აპელირებენ ძირითადად ეკონომიკური აგენტები სასამართლოში, რაც წარმოდგენას იძლევა, ზოგადად, შესაძლო პრობლემის მასშტაბურობაზე და მეორე მხრივ, როგორია სასამართლოს დამოკიდებულება და შესაბამისი შეფასებები ამ საკითხზე.

სააგენტოს ხაზს უსვამს, იმ გარემოებას, რომ სააგენტოში კონკრეტული საჩივრის ფარგლებში მიმდინარე დავა გადაწყდება საქმის ფარგლებში არსებული მტკიცებულებებისა და სხვადასხვა რელევანტური გარემოებების შეფასების საფუძველზე კონკურენციის კანონმდებლობაზე დაყრდნობით, აკრედიტაციის გაცემის საკითხთან დაკავშირებული სასამართლო დავების გადაწყვეტისგან დამოუკიდებლად, თუმცაღა, ბაზარზე შესვლის კუთხით არსებული მდგომარეობის წაროსაჩენად, აგრეთვე მხედველობაში მიიღებს **შესაბამისი სასამართლო დავების კუთხით არსებულ სიტუაციას.**

დავა 1: შპს „ეპიცენტრი“ აკრედიტაციის ცენტრის წინააღმდეგ

დავის საგანი: აკრედიტაციის ცენტრის მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება.[20]

აღნიშნული სასამართლო დავა სააგენტოში მიმდინარე მოკლევასთან მიმართებით განსაკუთრებით რელევატანურია, რადგანაც, მოსარჩელეს თითქმის იდენტური ფაქტობრივი გარემობებზე დაყრდნობით (შპს „ეპიცენტრმა“ 2021 წლის 5 თერვალს მიმართა აკრედიტაციის ცენტრს შესაბამისი განცხადებით) ასაჩივრებს აკრედიტაციის ცენტრის გადაწყვეტილებას აკრედიტაციის გაცემაზე უარის შესახებ, რაზეც სააგენტოში აპელირებს მომჩვანი შოთა

[20] შპს „ეპიცენტრის“ 2022 წლის 26 ივლისის წერილი N01/1371 და შესაბამისი დანართები

ლომინაშვილი. ორივე შემთხვევაში სახეზე იყო მიმართვა აკრედიტაციის დამატებითი პირობების გაუქმების შემდგომ აკრედიტაციის გაცემის მოთხოვნით.

აღნიშნულ დავასთან მიმართებით, პირველი ინსტანციის **სასამართლომ 2022 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა მოსარჩელე შპს „ეპიცენტრის“ მოთხოვნა** და მიუთითა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „პრემიურ რეზიდენს“ (უფლებამონაცვლე სს „გრინვეი საქართველო“) შორის 2018 წელს დადებული ხელშეკრულება არ ქმნის კანონმდებლობით, მათ შორის, საკ 1.1:2020 – „აკრედიტაციის საერთო წესებისა და პროცედურების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე კანონმდებლის მიერ განსაზღვრულ, განცხადების განხილვაზე უარის თქმის საფუძველს. შესაბამისად, **აკრედიტაციის ცენტრს დაევალა შპს „ეპიცენტრთან“ გააფორმოს ხელშეკრულება და „შეთანხმება აკრდიტაციაზე“**.[21]

დავა 2: შპს „ეპიცენტრი“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინააღმდეგ

დავის საგანი: ეკონომიკის მინისტრის 2010 წლის 16 მარტის №1-1/330 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის ცენტრის“ დებულების'' მე-2 პრიმა მუხლის და დანართი 1-ის არარად აღიარება, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2019 წლის 12 ივნისის №1-1/282 ბრძანების „შპს,,ეპიცენტრის'' განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ ბათილად ცნობა (საქმე [redacted]). [22]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით, **ზემოხსენებული სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა** და **არარად იქნა ცნობილი სადავო ადმინისტრაციული აქტები, აგრეთვე, ბათილად იქნა ცნობილი** სამინისტროს 2019 წლის 12 ივნისის №1-1/282 ბრძანება (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება [redacted]). გადაწყვეტილება გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში (N [redacted]).[23]

დავა 3: შპს „აუტოტესტ გეორგია“, შპს „გივა“, შპს „ლუკა“ და შპს „ავტოტესტცენტრი“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინააღმდეგ

დავის საგანი: სამინისტროსა და სს „გრინვეი საქართველოს“ შორის 2018 წლის 29 ივნისს დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ნაწილობრივ ბათილად ცნობა (საქმე N[redacted]). მესამე პირად საქმეში ჩართულია - სს „გრინვეი საქართველო“.[24]

---

[21] შპს „ეპიცენტრის“ 2022 წლის 15 დეკემბრის N01/2323 წერილით წარმოდგენილი თბილისი საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმე N[redacted]

[22] საქართველოს ავტომობილების ინსპექტირების ასოციაციის 2022 წლის 25 მაისის წერილი N01/956 და შესაბამისი დანართები

[23] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2022 წლის 5 დეკემბრის წერილი N01/2232

[24] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2022 წლის 7 მარტის წერილი N01/409 და შესაბამისი დანართი

მოსარჩელეების განმარტებით, ზემოხსენებული ხელშეკრულებებით კომპანია „გრინვეისათვის“ შექმნილია ისეთი დომინანტური მდგომარეობა, რომელიც მას განსხვავებით კონკურენტებისაგან, აძლევს ბაზრის კონტროლისა და სახელმწიფო გადაწყვეტილებებზე კონტროლის საშუალებას.

საქმე მიღებულ იქნა წარმოებაში, ამ ეტაპისათვის, **საქმის წარმოება შეჩერებულია** თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის [redacted] საქმეზე (შპს „ეპიცენტრის“ სარჩელი ეკონომიკის სამინისტროს წინააღმდეგ, დავის საგანი - აქტის არარად ცნობა) მიღებული **გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.**

დავა 4: შპს „აუტოტესტ გეორგია” აკრედიტაციის ცენტრის წინააღმდეგ

დავის საგანი: ცენტრისთვის ქმედების დავალება და აკრედიტაციის პროცედურის დაწყების ხელშეკრულების დადება. საქმეში მესამე პირად ჩართულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. [25]

2020 წლის 15 ოქტომბერს მოსარჩელემ სფეროს გაფართოვების შესახებ განაცხადით მიმართა სსიპ „აკრედიტაციის ცენტრს“ და მოითხოვა აკრედიტაცია დამატებით სფეროში, წარადგინა იჯარის ხელშეკრულება ახალ მისამართზე, თუმცა უარი მიიღო.

აღნიშნული სარჩელი არ დაკმაყოფილდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. მოსარჩელემ 2022 წლის მაისში, სააპელაციო საჩივრის წარდგენის გზით გაასაჩივრა ზემოხსენებული სასამართლო გადაწყვეტილება.[26]

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით **შპს „აუტოტესტ გეორგიას“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული** (საქმე N[redacted]) ბათილად იქნა ცნობილი აკრედიტაციის ცენტრის უარის აქტი და აკრედიტაციის ცენტრს დაევალა საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი აკრედიტაციის სფეროს გაფართოების თაობაზე.[27]

დავა 5: შპს „სასწავლო საგამოცდო ცენტრი - PTI” ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინააღმდეგ

დავის საგანი: ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება.[28]

---

[25] საქართველოს ავტომობილების ინსპექტირების ასოციაციის 2022 წლის 25 მაისის წერილი N01/956 და შესაბამისი დანართები

[26] აკრედიტაციის ცენტრის 2022 წლის 8 ივნისის წერილი N01/1060 და შესაბამისი დანართები

[27] ა(ა)იპ ავტომობილების ინსპექტირების ასოციაციის წარმომადგენლის 2023 წლის 6 მარტის წერილით (N01/754) წარმოდგენილი დანართი N3 - თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება

[28] შპს „სასწავლო და საგამოცდი ცენტრი -პტის“ 2022 წლის 2 ივნისი წერილი N01/1009 და შესაბამისი დანართები

მოსარჩელე მონაწილეობას იღებდა პტი ცენტრების მოწყობის მიზნით სამინისტროს მიერ 2018 წელს გამოცხადებულ კონკურსში, თუმცა არ მოხდა მასთან პტი ცენტრის მოწყობაზე ხელშეკრულების დადება (უარის თქმის ძირითად მიზეზს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ მოსარჩელის მიერ არ დასტურდებოდა აღჭურვილობის შესაძენად გაწეული ხარჯების გადახდის ფაქტი).

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2018 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა. გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო და უზენაეს სასამართლოში. **უზენაესმა სასამართლომ** 2020 წლის 28 აპრილის განჩინებით **უცვლელად დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს** 2019 წლის 24 მაისის **განჩინება** და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება. სამინისტრომ, ეკონომიკის მინისტრის 2020 წლის 17 აგვისტოს N1-1/319 ბრძანების შესაბამისად, **გააფორმა აკრედიტაციის ცენტრის მოწყობის/გაფართოვების ხელშეკრულება მოსარჩელესთან.**

სააგენტოს ხელთარსებული ინფორმაციით, საერთო სასამართლოების წარმოებაშია დამატებით რამდენიმე მიმდინარე დავა ზემოთ აღწერილ საკითხებთან დაკავშირებით და ასევე, საკონსტიტუციო დავა (შპს „ეპიცენტრის“ კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე) ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 მარტის N1–1/330 ბრძანებით დამტკიცებული აკრედიტაციის ცენტრის დებულების 2 პრიმა მუხლის, დანართი №1-ისა (რომლითაც შემოღებულ იქნა აკრედიტაციის დამატებითი პირობები) და მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №301 დადგენილების მე-12 პუნქტის კონსტიტუციასთან წინააღმდეგობის შესახებ (საოქმო ჩანაწერი -N2/19/1436).[29]

თავი IV. შესაბამისი ბაზარი

ნაწილი 1. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა

იმისათვის, რომ დადგინდეს - სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის მიერ პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციის შესახებ გაცემული უარები წარმოადგენს თუ არა კანონის მე-10 მუხლით აკრძალულ ქმედებას, აუცილებელია განისაზღვროს, ამ გზით იზღუდება/შეიზღუდა თუ არა ეკონომიკური აგენტის/აგენტების თავისუფლება - შევიდეს/შევიდნენ შესაბამის ბაზარზე ან/და განხორციელდა თუ არა აგენტის სამეწარმეო საქმიანობისა და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან/და სხვაგვარად შეფერხება. ამისათვის პირველ რიგში უნდა მოხდეს შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება.

[29] საქართველოს ავტომობილების ინსპექტირების ასოციაციის 2022 წლის 25 მაისის წერილი N01/956 და შესაბამისი დანართები

კანონის მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზარი გულისხმობს საქონლის, ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ან მომსახურების მიმოქცევის სფეროს გარკვეულ ტერიტორიაზე, რომლის საზღვრებიც დგინდება საქონლის/მომსახურების შეძენის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით და შეიძლება მოიცავდეს საქართველოს მთელ ტერიტორიას, საქართველოს ტერიტორიის ნაწილს ან საქართველოს მთელ ტერიტორიას ან მის ნაწილს სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან ან მის ნაწილთან ერთად.

სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ (შემდგომში - „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები“) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით კი, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება ხდება შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;

ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;

გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე გადაწყვეტილებაშიც, ბაზრის იდენტიფიცირება დასახელებული სამი პარამეტრის გამოყენებით მოხდება.

1.1. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები დგინდება ურთიერთჩანაცვლებადობის ხარისხის გათვალისწინებით.

როგორც უკვე აღინიშნა, მომჩივანს ჰქონდა დასაბუთებულ განზრახვა მოეწყო ავტომობილების პერიოდული ტექნიკური აკრედიტაციის ცენტრი და ამისთვის მიეღო კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი აკრედიტაცია, რათა დაეწყო შესაბამისი ოპერირება. შესაბამისად, წინამდებარე მოკვლევის ფარგლებში სააგენტო იხილავს სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციაზე გაცემული უარის „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლთან თავსებადობის საკითხს.

ამდენად, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრად სააგენტომ განიხილა **ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირებით მომსახურება.** [30]

1.2. შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-11 მუხლის თანახმად, სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობები, შეიძინონ განსახილველი საქონელი/მომსახურება.

2018 წლის რეფორმის შედეგად, ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების განმახორციელებელი არსებული ცენტრების ლოკაციები მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიას, ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გავლა სავალდებულოა ექსპლუატაციაში მყოფი ყველა სატრანსპორტო საშუალების მფლობელთათვის მიუხედავად მათი მდებარეობისა. ამასთან, ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გავლა შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ ლოკაციაზე მდებარე ინსპექტირების ცენტრში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, ცენტრების გეოგრაფიული გადანაწილება მოიცავს პრაქტიკულად საქართველოს ყველა რეგიონს და, შესაბამისად, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პროცესის ორგანიზება ხდება ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, შესაბამისი ბაზრის **გეოგრაფიულ საზღვრად მიჩნეულ იქნა საქართველოს მთელი ტერიტორია.**[31]

1.3. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩოები

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-13 მუხლის თანახმად, შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ავტოპარკში არსებულ თითოეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გავლის

---

[30] შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებთან დაკავშირებით სააგენტოს ანალოგიური მიდგომა აქვს გამოყენებული 2019 წლის 18 ივლისის №04/240 ბრძანებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებაში, გვ. 22 https://admin.competition.ge/uploads/f8b3956fdb814ff599f80f356449a895.pdf

[31] შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებთან დაკავშირებით სააგენტოს ანალოგიური მიდგომა აქვს გამოყენებული 2019 წლის 18 ივლისის №04/240 ბრძანებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებაში, გვ. 22

ვალდებულება წარმოეშობა ინდივიდუალურად, ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირებით მომსახურების ბაზარი არ წარმოადგენს სეზონური ხასიათის ბაზარს და იგი ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში. ამდენად, ამ ბაზარზე არ შეინიშნება რაიმე სახის წყვეტა წელიწადის დროების მიხედვით და აღნიშნულის გათვალისწინებით, **ბაზარს არ გააჩნია დროითი ჩარჩო.**

1.4 შუალედური დასკვნა

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში კანონის მე-10 მუხლის მიზნებისათვის სააგენტო ადგენს შესაბამისი ბაზრის შემდეგ საზღვრებს:

ა) შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები - ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირებით მომსახურება;

ბ) შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები - საქართველოს ტერიტორია;

გ) დროითი ჩარჩოები - შესაბამის ბაზარს დროითი ჩარჩოები არ გააჩნია.

აღნიშნული საზღვრების გათვალისწინებით, მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, შესაბამის ბაზარს წარმოადგენს - **საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირებით მომსახურება.**

ნაწილი 2. შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტები

როგორც უკვე აღინიშნა, შესაბამის ბაზარს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირებით მომსახურების ბაზარი. ამ ბაზარზე მოქმედ სუბიექტებს წარმოადგენენ სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების მომსახურების განმახორციელებელი ორგანოები - ინსპექტირების ცენტრები (პტი ცენტრი).

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის მდგომარეობით, სამინისტროს მიერ ხელშეკრულებები დადებული იყო 16 პტი ცენტრთან (13 ახალი კომპანია და 3 კომპანია სფეროს (ხაზები, ფილიალები) გაფართოებით და კონკურსში გამარჯვებულ კომპანიასთან, რის შედეგადაც, საქართველოში 2021 წლამდე ოპერირებდა სულ - 41 აკრედიტებული პტი ცენტრი.[32]

ამასთან, როგორც აკრედიტაციის ცენტრი მიუთითებს 2018 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ რაც დასრულდა ღია კონკურსში გამარჯვებულ კომპანიებთან ხელშეკრულების

[32] აკრედიტაცის ცენტრის 2022 წლის 31 მაისის წერილი N01/980

გაფორმება, ახალი ხელშეკრულება გაფორმდა მხოლოდ ერთ კომპანიასთან - შპს „სასწავლო და საგამოცდო ცენტრ - პტი-თან“. სამინისტროსა და ამ კომპანიას შორის ხელშეკრულების გაფორმებას საფუძვლად დაედო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.[33]

შესაბამისად, 2022 წლის ნოემბრის თვის მდგომარეობით, აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტირებულია 42 პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრი.[34]

ნაწილი 3. შესაბამის ბაზარზე არსებული ბარიერები

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ 23-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაბამის სასაქონლო ბაზარზე შესვლის ბარიერების ანალიზი მოიცავს ბაზრის სტრუქტურის ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასებას, რომლის ფარგლებშიც სააგენტო იკვლევს:

ა) ბაზარზე შესვლის, გაფართოების და ბაზრიდან გამოსვლის ბარიერების არსებობას/არარსებობას პოტენციური კონკურენტებისათვის და მათი დაძლევის სიმარტივეს/სიძნელეს;

ბ) ბარიერების გადალახვის შესაძლო დანახარჯებსა და ვადებს;

გ) პოტენციური მიმწოდებლის ფაქტობრივ შესაძლებლობას, გახდნენ მოცემული ბაზრის მონაწილეები;

დ) შესაბამის ბაზარზე უკვე მოქმედი ეკონომიკური აგენტების შესაძლებლობას, გააფართოონ ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბები;

ამასთან, მეთოდური მითითებების ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ზემოხსენებული მაჩვენებლების გამოყენებისას სააგენტო შეისწავლის ბაზარზე **ტექნიკური, ფინანსური და ინსტიტუციონალური ბარიერების** არსებობას.

3.1. ინსტიტუციონალური ბარიერი

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, აკრედიტაცია ნებაყოფლობითია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონით პირდაპირ არის განსაზღვრული აკრედიტაციის სავალდებულოობა.

„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში არსებული და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ შესაბამის სფეროში აკრედიტებულ

[33] დეტალურად იხ. გადაწყვეტილების III თავში
[34] აკრედიტაციის ცენტრის 2022 წლის 8 ნოემბრის წერილი N01/2003

ინსპექტირების ცენტრებში. ამასთან, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სხვადასხვა ტიპის შესაბამისობის შემფასებელ პირთა აკრედიტაცია ხორციელდება აკრედიტაციის ცენტრის მიერ მიღებული იმ წესებისა და პროცედურების საფუძველზე, რომლებიც ეფუძნება შესაბამის, აკრედიტაციის სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული ორგანიზაციების მიერ მიღებულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო დოკუმენტები.

ზემოაღნიშნული გათვალისწინებით **„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონი ცალსახად ადგენს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაციის სავალდებულოობას, რაც შესაძლოა განხილულ იქნეს შესაბამის ბაზარზე შესვლის ინსტიტუციონალურ ბარიერად.**

შესაბამისად, ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირებით მომსახურების ბაზარზე ოპერირების დასაწყებად, ეკონომიკურმა აგენტმა უნდა გადალახოს ადმინისტრაციულ-ინსტიტუციონალური ბარიერი, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული ეკონომიკური აგენტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების და აღჭურვილობის (შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალთან ერთად) საშუალებით შესაბამისი აკრედიტაციის მოპოვებასთან, რომელიც შესაძლებელია გაცემულ იქნას აკრედიტაციის ცენტრის მიერ, ხოლო, ბაზრიდან გამოსვლის ინსტიტუციონალური ბარიერი არ არსებობს.

3.2. ტექნიკური ბარიერი

ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების მომსახურების **ბაზარზე შესვლის ტექნიკურ ბარიერად შესაძლოა განიხილოს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის №511 დადგენილებით გათვალისწინებული ტექნიკური რეგლამენტი,** რომელიც განსაზღვრავს ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს.

3.3. ფინანსური ბარიერი

აღსანიშნავია, რომ ფინანსურ ბარიერად შეიძლება განხილულ იქნას ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების მომსახურების ბაზარზე შესვლის მსურველი ეკონომიკური აგენტის მიერ ადმინისტრაციული და ტექნიკური ბარიერების დაძლევისთვის საჭირო თანხები. აღნიშნული ბარიერების დაძლევისათვის საჭირო თანხების მოძიების შემდგომ, ეკონომიკური აგენტისათვის ზემოაღნიშნულ ბაზარზე შესვლის ფინანსურ ბარიერად აგრეთვე განიხილება „სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის

წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის **№301 დადგენილებით განსაზღვრული ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურები.**

ამასთან, ხაზი უნდა გაესვას, იმ ფაქტს, რომ 2022 წლის ოქტომბრის თვის მდგომარეობით აღნიშნულ სფეროში შესვლისათვის, ზემოხსენებული ფინანსური ბარიერების გარდა **არ არის დადგენილი სხვა რაიმე დამატებითი ფინანსური ბარიერი,** როგორიც შეიძლება იყო საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ხელმოწერის საფასური და ა.შ.

სააგენტო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ N301 დადგენილების მე-12 პუნქტით განსაზღვრულია დამატებითი პირობების შემოღების შესაძლებლობა, მათ შორის ფინანსური ან სხვა კუთხით, თუმცაღა, მას შემდეგ, რაც 2021 წლის 3 თებერვლის შემდგომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1-1/27 ბრძანების საფუძველზე გაუქმდა აკრედიტაციის მაძიებლებისათვის დადგენილი დამატებითი პირობები, რომელიც შესაძლო განხილულიყო, როგორც ერთგვარი დამატებითი ბარიერი. აქედან გამომდინარე, N301 დადგენილების მე-12 პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი პირობები, როგორც შესაძლო პოტენციური ბარიერები 2021 წლის 4 თებერვლიდან (მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა შესაბამისი ცვლილება) ნორმატიულ დონეზე აღარ მოქმედებს.

თავი V. სააგენტოს შეფასება

ნაწილი 1. შესავალი

2022 წლის 28 იანვარს ი/მ შოთა ლომინაშვილის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული საჩივრიდან ირკვევა, რომ მომჩივანი სადავოდ ხდის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის მოწყობასა და აკრედიტაციის მისაღებად საჭირო სამართლებრივი პროცედურების განხორციელებაზე უარს და უარის გამომცემ ორგანოდ ასახელებს როგორც აკრედიტაციის ცენტრს, ასევე, სამინისტროს. შესაბამისად, მომჩივანი ორივე მოპასუხის ქმედებებს მიიჩნევს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების დარღვევად.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ „ი/მ შოთა ლომინაშვილის დაზუსტებული საჩივრის ნაწილობრივ დასაშვებად ცნობის, საქმის მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 31 მარტის №04/34 ბრძანების მე-2 პუნქტის საფუძველზე, ნაწილობრივ დაუშვებლად იქნა ცნობილი ი/მ შოთა ლომინაშვილის (პ/ნ: 60002007062) 2022 წლის 28 იანვარს წარმოდგენილი №01/165 დაზუსტებული საჩივარი მოპასუხე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან მიმართებით, ამავე ბრძანებაზე თანდართული დასაბუთებული დასკვნის გათვალისწინებით. კერძოდ, სააგენტომ ზემოაღნიშნული საქმის მოკვლევის დაწყების ეტაპზე

განმარტა, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაციის სფეროში დღეის მდგომარეობით მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ანალიზის საფუძველზე, ცალსახაა, რომ აკრედიტაციის ცენტრი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაციაზე, შესაბამისად, სააგენტოს შეფასებით, საჩივარში მითითებული სადავო ქმედებიდან გამომდინარე, სამინისტრო წარმოადგენს არასათანადო მოპასუხეს და სამინისტროს ნაწილში, კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, არ არსებობს საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველი.[35]

სააგენტოს მიერ უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 8 იანვრის №1-1/5 ბრძანების შესაბამისად, „სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 მარტის №1-1/330 ბრძანებაში განხორციელებული ცვლილება, რომლითაც განისაზღვრა ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაციის დამატებითი პირობები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 3 თებერვლის №1-1/27 ბრძანებით გაუქმდა და 2021 წლის 4 თებერვლიდან პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ბაზარზე შესასვლელად ნორმატიულ დონეზე აღარ არსებობს რაიმე სახის „დამატებითი პირობები“.

ზოგადად, ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პროცესთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით, ქვეყანაში მოქმედებს 2017 წლის პირველი დეკემბერს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული №511 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ინსპექტირების ცენტრის შენობები, ობიექტები და აღჭურვილობა უნდა შეფასდეს აკრედიტაციის და შემდგომი მონიტორინგების დროს ამ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისობაზე. ამდენად, მიღებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილია ის პირობები, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს აკრედიტაციის ცენტრმა ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაციისთვის.

„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში არსებული და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას აკრედიტაციის ცენტრის მიერ შესაბამის სფეროში აკრედიტებულ ინსპექტირების ცენტრებში, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 პუნქტით

[35] საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 31 მარტის №04/34 ბრძანება და მისი დანართი

იმპერატიულად დადგენილია, რომ ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაცია ხორციელდება აკრედიტაციის ცენტრის მიერ დამტკიცებული აკრედიტაციის სისტემის წესებისა და პროცედურების შესაბამისად. ამასთან, ამავე კანონის მე-11 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების მიხედვით, კანონმდებელმა საქართველოს მთავრობას აკრედიტაციის სფეროში მიანიჭა მხოლოდ ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების, აგრეთვე ინსპექტირების პერიოდულობის და საფასურების ნორმატიული აქტის მეშვეობით განსაზღვრის უფლებამოსილება.

ნაწილი 2. სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“, როგორც კანონის მე-10 მუხლის ადრესატი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის ადრესატებს წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოები და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოები. შესაბამისად, მოპასუხე ჩაითვლება ამ მუხლის ადრესატად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს დასახელებული სუბიექტებიდან ერთ-ერთს.

საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კი საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოს ცნებას, კერძოდ კი ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ყველა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აკრედიტაციის ცენტრი, რომელიც დებულების შესაბამისად წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს,

რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას, კერძოდ, წარმოადგენს ქვეყანაში აკრედიტაციის პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელი საჯარო დაწესებულებას, წარმოადგენს კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტს.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ სამართლებრივი მსჯელობისას მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 2020 წლის 10 აპრილის №01-1 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის წესებისა და პროცედურების“ (შემდგომში - „აკრედიტაციის წესები“) ნორმატიულ შინაარსს, რომლის მიხედვითაც, აკრედიტაციის ცენტრი თავად წარმართავს აკრედიტაციის პროცესს და პასუხისმგებელია შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებაზე, მათ შორის, აკრედიტაციის მინიჭების, აკრედიტაციის შენარჩუნების, აკრედიტაციის სფეროს გაფართოების, აკრედიტაციის შემცირების, აკრედიტაციის შეჩერების ან გაუქმების თაობაზე. აკრედიტაციის ცენტრი საქმიანობას წარმართავს დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად და არადისკრიმინაციულად საქართველოს კანონმდებლობის, აკრედიტაციის წესებისა და პროცედურების, შესაბამის აკრედიტაციის სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული ორგანიზაციების მიერ მიღებული სტანდარტებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ აკრედიტაციის ცენტრის მხრიდან პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის მოწყობასა და აკრედიტაციის მისაღებად საჭირო სამართლებრივი პროცედურების განხორციელებაზე გაცემული უარი წარმოადგენს ინდივიდუალური ხასიათის სამართლებრივ აქტს. ამდენად, იგი ვერ ჩაითვლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევად და გამონაკლისად „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლიდან, რადგან „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ საქართველოს ნორმატიული აქტები იყოფა საქართველოს საკანონმდებლო და საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად, რომლებიც ქმნის საქართველოს კანონმდებლობას. შესაბამისად, აღნიშნული ნორმის მიხედვით, ინდივიდუალური ხასიათის სამართლებრივი აქტი არ მიეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობას, შესაბამისად, გამონაკლისს მე-10 მუხლის მიზნებისათვის.

დამატებით ასევე, აღსანიშნავია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის განმარტება „ნორმატიულ აქტთან“ მიმართებაში, კერძოდ კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. შედეგად აშკარაა, რომ აკრედიტაციის ცენტრის მხრიდან პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის მოწყობასა და აკრედიტაციის მისაღებად საჭირო სამართლებრივი პროცედურების განხორციელებაზე გაცემული უარი, კოდექსის აღნიშნული განმარტების ფონზეც ვერ

ჩაითვლება ნორმატიულ აქტად და და მისი შეფასება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლთან მიმართებაში განეკუთვნება სააგენტოს კომპეტენციასა და უფლებამოსილებას.

ნაწილი 3. პტი ცენტრის აკრედიტაციის „დამატებითი პირობების“ გაუქმება და შესაბამისი სამართლებრივი შედეგები

როგორც უკვე აღინიშნა, ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო პერიოდული ინსპექტირების მომსახურების ბაზარზე 2021 წლის 4 თებერვლამდე მოქმედებდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 8 იანვრის №1-1/5 ბრძანებით დამტკიცებული პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციის დამატებითი პირობები. შესაბამისად, ზემოხსენებულ პერიოდამდე ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების მომსახურების ბაზარზე შესასვლელად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზოგად წინაპირობებთან ერთად, შესაბამისი ეკონომიკური აგენტებისათვის არსებობდა ერთგვარი დამატებითი - სპეციალური წინაპირობები, რომლებიც დადგენილი იყო ნორმატიულ დონეზე.

მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ ხაზი გაესვას „დამატებითი პირობების“ შემოღების პრეისტორიას. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 იანვრის №583 დადგენილებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №301 დადგენილებაში“ (შემდგომში - „№301 დადგენილება”), რომლის მიხედვითაც დადგენილებას დაემატა მე-12 პუნქტი, შემდეგი შინაარსით: „ტექნიკური რეგლამენტის – „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის №511 დადგენილებით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციის დამატებითი პირობები, მათ შორის, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის შესაბამისი უფლებამოსილი პირისათვის წარდგენის ვალდებულება, შესაძლებელია განისაზღვროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულებით.”.

შედეგად, მთავრობის №301 დადგენილების მე-12 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 8 იანვრის №1-1/5 ბრძანებით ცვლილება შევიდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 მარტის №1–1/330 ბრძანებით დამტკიცებულ აკრედიტაციის ცენტრის დებულებაში,

რომლითაც განისაზღვრა ტექნიკური რეგლამენტის – „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის №511 დადგენილებით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციის დამატებითი პირობები.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ დამატებითი პირობები შინაარსობრივად მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ზოგად დებულებებს, აკრედიტაციის მიღების პირობებს, დაინტერესებული პირების მიერ შერჩევის პროცესში მონაწილეობის პირობებს, არსებული ცენტრების მიერ აკრედიტაციის მოპოვების პირობებს, უპირობო და გამოუხმობ საბანკო გარანტიას და ხელშეკრულების ხელმოწერის საფასურს, შერჩევის პროცესის ჩატარების წესს და გამარჯვებულის გამოვლენას, გარიგებათა გაფორმების წესს, გამარჯვებული პირის პასუხისმგებლობასა და სამინისტროს განცხადებებს.

საბოლოოდ, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 3 თებერვლის №1-1/27 ბრძანების საფუძველზე, აკრედიტაციის ცენტრის დებულებიდან ამოღებული იქნა „დამატებითი პირობები“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ზემოხსენებული „დამატებითი პირობების“ მოქმედება შეწყდა 2021 წლის 4 თებერვლიდან.

შედეგად, **დღეის მდგომარეობით ცალსახაა, რომ შეწყდა 2021 წლის 4 თებერვლიდან პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციისათვის კონკრეტული, სპეციალური და დამატებითი პირობები ნორმატიულ დონეზე აღარ არსებობს. შესაბამისად, აკრედიტაციის მოთხოვნისას ეკონომიკურ აგენტს ნორმატიულ დონეზე აღარ მოეთხოვება რამე დამატებითი მოთხოვნის შესრულება, გარდა იმისა, რაც შესაბამისი პროცედურული და მატერიალური კანონმდებლობითაა დადგენილი.**

ნაწილი 4. აკრედიტაციის ცენტრის მიერ მომჩივანის მიმართ კარედიტაციის გაცემაზე უარის მიმართება კანონის მე-10 მუხლთან

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტოს შეფასების საგანს წარმოადგენს ი/მ შოთა ლომინაშვილისათვის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის მოწყობასა და აკრედიტაციის მისაღებად საჭირო სამართლებრივი პროცედურების განხორციელებაზე აკრედიტაციის ცენტრის უარის შესაბამისობა კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ აკრძალვებთან.

ზოგადად, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა სავალდებულო პერიოდული ინსპექტირების ცენტრების მოწყობასთან დაკავშირებით აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაცემულ უართან მიმართებით, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ აკრედიტაციის ცენტრს მომჩივანის მიმართვის საფუძველზე არ დაუწყია ადმინისტრაციული წარმოება და დადგენილი წესით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების გარეშე მომჩივანს ეცნობა წერილობითი უარი პტი ცენტრის მოწყობასთან დაკავშირებით.[36]

სააგენტო მიიჩნევს, რომ დავის ფაქტობრივი გარემოებებისა და შინაარსის გათვალისწინებით, აკრედიტაციის ცენტრის მიერ მომჩივანის მიმართ გაცემული უარი მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში უნდა შეფასდეს კონკურენციის კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებაში, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს ეკრძალებათ ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობისა და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან/და სხვაგვარი შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მომჩივანი საჩივარში უთითებდა კონკურენციის კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტთან ერთად, ამავე მუხლის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაძლო დარღვევის შესახებაც. კონკურენციის კანონის მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით სახელმწიფო ორგანოებს ეკრძალებათ ეკონომიკური აგენტისთვის ისეთი შეღავათის დაწესება, რომელიც მას კონკურენტებთან ან პოტენციურ კონკურენტებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხოლო ამავე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ეკონომიკურ აგენტს დომინანტურ მდგომარეობას უქმნის, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნასა და კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ზემოთ აღნიშნულ ქვეპუნქტებთან დაკავშირებით (კანონის მე-10 მუხლის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტები) სააგენტო არ მჯელობს გადაწყვეტილების მოცემულ ნაწილში, ვინაიდან საჩივარი შეეხებოდა აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტაციის მიღებაზე კანონსაწინააღმდეგო უარის თქმას, რაც ამ შემთხვევაში არ წარმოადგენს აღნიშნული ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებს, რადგან არ იკვეთება საჩივარში მითითებული მოპასუხის ქმედებით ეკონომიკური აგენტისთვის ისეთი შეღავათის დაწესება, რომელიც მას კონკურენტებთან ან პოტენციურ კონკურენტებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, ასევე, მოპასუხის გადაწყვეტილება, რომელიც ეკონომიკურ აგენტს დომინანტურ მდგომარეობას უქმნის, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნასა და კონკურენციას. კერძოდ, სააგენტო აფასებს აკრედიტაციის ცენტრის მხრიდან უარს, ხოლო ეკონომიკური აგენტისთვის შესაბამის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის შექმნა და მისთვის რაიმე უპირატესობის მინიჭება გამომდინარეობს უკვე ჩატარებული კონკრეტული ტენდერიდან, რაც არ წარმოადგენს

[36] აკრედიტაციის ცენტრის 2021 წლის 6 დეკემბრის წერილი № GAC-01/976

მიმდინარე მოკვლევის საგანს. შესაბამისად, სააგენტო არ აფასებს საჩივარში დასმულ ქმედებას ზემოაღნიშნულ ქვეპუნქტებთან მიმართებით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.“ ეს ნორმა სახელმწიფოს ავალდებულებს, „შექმნას ისეთი ნორმატიული გარემო, რომელიც წაახალისებს და ბაზრიდან არ განდევნის სიცოცხლისუნარიან სუბიექტებს, იზრუნებს მათი გაჯანსაღებისათვის [...] მხოლოდ კონკურენციის პირობებშია შესაძლებელი სუბიექტის თავისუფალი წარმოშობა, საქმიანობა და არსებობის შეწყვეტა. კონკურენციისადმი ხელის შეწყობით სახელმწიფო ახალისებს ბაზარზე სიცოცხლისუნარიანი სუბიექტების საქმიანობას. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ჯანსაღი სამოქალაქო ბრუნვის ჩამოყალიბებას“.[37]

სააგენტო განმარტავს, რომ სახელმწიფოს სწორედ აღნიშნული ვალდებულების შესრულებას ისახავს მიზნად კანონის მე-10 მუხლი, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს და აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს უკრძალავს ისეთი ქმედებების განხორციელებას, რომელიც ხელს უშლის თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას.

მნიშვნელოვანია განიმარტოს, კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, კონკრეტულად რა შეიძლება მოიაზრებოდეს სამეწარმეო საქმიანობის შეფერხების ქვეშ. კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, მისი მიზანია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს აგრეთვე სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა. გარდა ამისა, იგი ასევე ემსახურება ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფას, ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობას, ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვას და ა.შ. შესაბამისად, ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობის შეფერხებად უნდა დაკვალიფიცირდეს ადმინისტრაციული ორგანოების ნებისმიერი სახის ისეთი ქმედება, რომელიც ამ ეკონომიკურ აგენტს უქმნის კონკრეტულ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციულ, სამართლებრივ ან/და დისკრიმინაციულ ბარიერს/ბარიერებს, არამართლზომიერად ზღუდავს ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციას ან ეწინააღმდეგება ეკონომიკურ აგენტებს შორის თანასწორუფლებიანობის პრინციპს და ა.შ. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობის შეფერხების ნაწილში, ანალოგიური მიდგომა აქვს სააგენტოს გამოყენებული 2019 წლის 18 ივლისის №04/240 ბრძანებით მიღებულ გადაწყვეტილებაში,[38] რომელიც შინაარსობრივად შეეხებოდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების საკითხს.

---

[37] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე N1/2/411, 19.12.2008, პარ. 3; 5.

[38] სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 18 ივლისის №04/240 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, ტექნიკური ინსპექტირების საქმე, გვ. 40

როგორც უკვე აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში, შესაბამის პროდუქციულ ბაზარს წარმოადგენს ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირებით მომსახურების ბაზარი. ამდენად, ზემოაღნიშნული მსჯელობის შესაბამისად, უნდა გაირკვეს, აკრედიტაციის ცენტრის მიერ მომჩივანის მიმართ გაცემული უარი ხომ არ უქმნის მოცემულ ეკონომიკურ აგენტს შესაბამის ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციულ, სამართლებრივ ან/და დისკრიმინაციულ ბარიერს/ბარიერებს, არამართლზომიერად ხომ არ ზღუდავს ეკონომიკურ აგენტებს (პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს) შორის კონკურენციას ან ხომ არ ეწინააღმდეგება ეკონომიკურ აგენტებს შორის თანასწორუფლებიანობის პრინციპს.

ხაზგასასმელია, რომ სააგენტო არ აფასებს აკრედიტაციის ცენტრის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხს და სადავო ქმედებას არ განიხილავს იმ ჭრილში, თუ რამდენად აკმაყოფილებდა მომჩივანი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს აკრედიტაციის მისაღებად ან რამდენად უნდა მიეღო/არ მიეღო შესაბამისი აკრედიტაცია, არამედ, სააგენტოს შეფასების საგანს წარმოადგენს აკრედიტაციის პროცესის ადმინისტრაციული წარმოების განხორციელებაზე აკრედიტაციის ცენტრის უარის კანონის მე-10 მუხლთან შესაბამისობა.

სააგენტო კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ 2021 წლის 4 თებერვლიდან **დღეის მდგომარეობით, ნორმატიულ დონეზე აღარ არსებობს პტი ცენტრის აკრედიტაციის დამატებითი პირობები პტი მომსახურების ბაზარზე შესვლის მსურველი ეკონომიკური აგენტების მიმართ,** რაც აგრეთვე დაადასტურა აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენელმა 2022 წლის 28 ნოემბერს გამართულ ახსნა-განმარტებით სხდომაზე, აგრეთვე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა 2022 წლის 24 ივნისს გამართულ საკონსულტაციო შეხვედრაზე.

მოპასუხის წარმომადგენელმა ახსნა-განმარტებით სხდომაზე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ აკრედიტაციის ცენტრი აკრედიტაციის პროცესის დაწყებაზე განაცხადის მიღებისას მას უგზავნის სამინისტროს შესაბამისი პოზიციის დასაფიქსირებლად და ერთგვარი რეკომენდაციის მისაღებად, რის საფუძელზეც აკრედიტაციის ცენტრმა უარი განაცხადა მომჩივანი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, იმის მითითებით, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებული რეფორმის ფარგლებში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული ღია კონკურსის საფუძველზე, უკვე არსებობდა შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობები, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ წინაპირობას ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაციასთან დაკავშირებული პროცესების სამართლებრივად წარსამართად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება, რომელსაც სააგენტო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს: **პირველი,** აკრედიტაციის ცენტრს შ. ლომინაშვილის განცხადების მიღების შემდგომ არც კი დაუწყია განაცხადის დამუშავება ან/და ფორმალური შეფასების პროცესისათვის მომზადება „აკრედიტაციის წესებისა და პროცედურის“ შესაბამისად, არამედ შესაბამისი პროცესის წარმართვის გარეშე, განცხადების განხილვაზე პირდაპირ და უაპელაციოდ განაცხადა უარი.

აღნიშნული ქმდებით აკრედიტაციის ცენტრის მხრიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ თუნდაც აკრედიტაციის მაძიებლის განაცხადი და კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი მოთხოვნები ზედმიწევნით სრულყოფილად იყოს შესრულებული აკრედიტაციის მაძიებლის მხრიდან, პასუხი მაინც იქნება - უარყოფითი, შესაბამისი შეფასების პროცედურის გარეშე. **მეორე,** აკრედიტაციის ცენტრი 2021 წლის 6 დეკემბრის №GAC-01/976 წერილში, აგრეთვე, სააგენტოში მიმდინარე მთელი მოკვლევის მანძილზე მოწოდებულ კორესპონდენციასა და ახსნა-განმარტებით სხდომაზეც, შ. ლომინაშვილისათვის აკრედიტაციის გაცემაზე უარის საფუძვლად არ მიუთითებს რომელიმე საკანონმდებლო ნორმას, ან ზოგადად ნორმატიულ აქტს, არ ასაბუთებს რამე საკანონმდებლო მოთხოვნებით. **მესამე,** აღნიშნული უარის სამართლებრივი დასაბუთების ნაცვლად, ერთადერთ საფუძვლად ცენტრი უთითებს იმავე ბაზრის ერთ-ერთ მონაწილესთან სამინისტროს მიერ დადებულ ხელშეკრულებას და ამ ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებს, ანუ ბაზარზე შესვლის განზრახვის მქონე ეკონომიკურ აგენტს უარი ეთქვა ბაზარზე დაშვებაზე ამავე ბაზარზე ოპერირებად სხვა სუბიექტთან აღებული სახელშეკრულებო ვალდებულებების გამო.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ შ. ლომინაშვილისათვის პტი ცენტრის აკრედიტაციის გაცემაზე უარს, რის შედეგადაც მას დღემდე არ აქვს შესაძლებლობა შევიდეს ბაზარზე და დაიწყოს შესაბამისი სამეწარმეო საქმიანობა, საფუძვლად ედება არა საკანონმდებლო საფუძველი, არამედ სამინისტროს მიერ კერძო სუბიექტთან დადებული სახელშეკრულებო ვალდებულებები, რის საფუძველზეც ცენტრი „მოკლებულია შესაძლებლობას, დააკმაყოფილოს მოთხოვნა“.

სააგენტო ყურადღებას გაამახვილებს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევაზე, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება, კერძოდ, ეკონომიკური აგენტის ეკონომიკური საქმიანობის ან/და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან სხვაგვარად შეფერხება გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან და მასზე არ ვრცელდება კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული აკრძალვა.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ნორმატიული აქტები იყოფა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად, რომლებიც ქმნის საქართველოს კანონმდებლობას. საქართველოს ნორმატიულ აქტებს განეკუთვნება აგრეთვე, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება. ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საქართველოს საკანონმდებლო აქტების სახეებია: ა) საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი; ბ) საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი; გ) საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ აკრედიტაციის უარი ეფუძნებოდა არა რომელიც ზემოაღნიშნულ

საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტს, არამედ სამინისტროსა და კონკრეტულ სუბიექტს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც არ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობას, აქედან გამომდინარე, კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი ამ შემთხვევაში არ გამოიყენება. შესაბამისად, მოცემული დავის ფარგლებში სრულად მოქმედებს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი აკრძალვა.

სააგენტოში მიმდინარე დავის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით აღსანიშნავია, რომ მოკვლევის ფარგლებში მიღებული და დამუშავებული ინფორმაციის შედეგად ირკვევა, რომ ანალოგიური მოტივით აკრედიტაციის გაცემაზე უარი არ არის მხოლოდ მომჩივანის ერთადერთი შემთხვევა, არამედ სახეზეა რიგი ეკონომიკური აგენტები, რომლებიც ვერ ახერხებენ ბაზარზე შესვლას აკრედიტაციის მხრიდან ანალოგიური საფუძვლით. კერძოდ, ანალოგიურ საკითხზე სააგენტოში ა(ა)იპ „საქართველოს ავტომობილების ინსპექტირების ცენტრების ასოციაციის“ მიერ 2021 წლის დეკემბერსა და 2022 წლის მარტში წარმოდგენილ განცხადებებში მითითებული ეკონომიკური აგენტების - შპს „აუტოტესტ გეორგიას“ და შპს „ეპიცენტრის“ მიმართ, აკრედიტაციის წარმოების დაწყებასთან დაკავშირებით ცენტრის მიერ გატარებული იქნა ანალოგიური პოლიტიკა.

აქ, განსაკუთრებით საინტერესოა შპს „ეპიცენტრის“ მიერ 2021 წლის 28 მარტის სარჩელით აკრედიტაციის ცენტრის წინააღმდეგ წამოწყებული სასამართლო დავა,[39] სადაც სარჩელს ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებები და საფუძველი აქვს, როგორც მომჩივანის საჩივარს სააგენტოში. აღნიშნული **სარჩელი დაკმაყოფილდა** პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, რომელმაც მიუთითა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „პრემიურ რეზიდენს“ (უფლებამონაცვლე სს „გრინვეი საქართველო“) შორის 2018 წელს დადებული ხელშეკრულება არ ქმნის კანონმდებლობით, მათ შორის, საკ 1.1:2020 – „აკრედიტაციის საერთო წესებისა და პროცედურების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე კანონმდებლის მიერ განსაზღვრულ, განცხადების განხილვაზე უარის თქმის საფუძველს. **შესაბამისად, აკრედიტაციის ცენტრს დაევალა შპს „ეპიცენტრთან“ გააფორმოს ხელშეკრულება და „შეთანხმება აკრდიტაციაზე“**.[40]

აქვე, სააგენტო განმარტავს, რომ მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღება საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და შესაბამისი დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით კონკურენციის კანონმდებლობაზე დაყრდნობით, თუმცაღა, ზემოხსენებული სასამართლო გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ აკრედიტაციის ცენტრის უარის მოტივი არ გამომდინარეობს შესაბამისი კანონმდებლობიდან.

აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის ცენტრმა, სააგენტოში წარმოდგენილ 2022 წლის 9 დეკემბრის (N01/2286) წერილში მიუთითა, რომ ი/მ შოთა ლომინაშვილს განცხადებით -

[39] უფრო ვრცლად იხილეთ, წინამდებარე გადაწყვეტილების III თავი

[40] შპს „ეპიცენტრის“ 2022 წლის 15 დეკემბრის N01/2323 წერილით წარმოდგენილი თბილისი საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმე N[redacted]

ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციაზე ეკრედიტაციის ცენტრისათვის არასოდეს მოუმართავს, კერძოდ, განცხადება არ წარმოუდგენია გენერალური დირექტორის შესაბამისი ბრძანებით დადგენილი წესით დამტკიცებული ფორმით. შესაბამისად, მომჩივანის უფლებების შელახვას ადგილი საერთოდ არ ჰქონია.

მომჩივანი აღნიშნულის საპასუხო წერილში[41] მიუთითებს, აკრედიტაციის ცენტრის განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან მან საჩივართან ერთად სააგენტოს წარმოუდგინა აკრედიტაციის ცენტრის 2021 წლის 6 დეკემბრის წერილი № GAC-01/976, სადაც ხაზგასმითაა მითითებული, რომ მოთხოვნილი აკრედიტაციის ცენტრი მოკლებული იყო შესაძლებლობას დაეკმაყოფილება მოთხოვნა და უთითებდა შესაბამის მიზეზსაც - სამინისტროს სახელშეკრულებო ურთიერთობას სხვა ეკონომიკურ აგენტთან. თუ პრობლემა მხოლოდ განაცხადის ფორმაში იყო, მაშინ აკრედიტაციის ცენტრი მარტივად მიუთითებდა, რომ განცხადება არ იყო წარმოდგენილი სათანადო ფორმით, ამის საპირისპიროდ კი ცენტრმა განხილვის გარეშე, აკრედიტაციის გაცემაზე წერილობით უარი განაცხადა და შესაბამისი ზემოხსენეული გარემოებაც მიუთითა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სააგენტო ყურადღებას მიაქცევს რამდენიმე გარემოებას, კერძოდ, პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკითხი მოპასუხემ წამოჭრა მხოლოდ მოკვლევის დასკვნით ეტაპზე. მოკვლევის მთელი პერიოდის განმავლობაში, რომელიც გრძელდებოდა თითქმის ერთი წელი, სააგენტოსთან წარმოებულ არცერთ კორესპოდენციაში, მათ შორის არც ახსნა-განმარტებით სხდომაზე აკრედიტაციის ცენტრს აღნიშნული საკითხი არ დაუსვამს, პირიქით, მოპასუხის პოზიცია მთლიანად აგებულია იმის განმარტებაზე, რომ უკვე მრავალგზის აღნიშნული ხელშეკრულების არსებობის გამო კონკრეტულ ინსპექტირების ორგანოსთან, შებოჭილი იყო გაეცა აკრედიტაცია ახალ სუბიექტზე.

შემდგომ, მოკვლევის მასალებში, კერძოდ მომჩივანის მიერ საჩივრის დანართში წარმოდგენილია, როგორც შ. ლომინაშვილის 2021 წლის 25 ნოემბრის განცხადება აკრედიტაციის მინიჭების მოთხოვნის შესახებ, აგრეთვე აკრედიტაციის ცენტრის 2022 წლის 6 დეკემბრის საპასუხო წერილი, სადაც ცენტრი პასუხობს შ. ლომინაშვილი მოთხოვნას და წერილობით უარს ეუბნება მის დაკმაყოფილებაზე, შესაბამისი მიზეზის მითითებითა და განმარტებით, რაც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა.

გარდა ამისა, როგორც აკრედიტაციის ცენტრი მიუთითებს, ლომინაშვილს ცენტრისათვის არ მიუმართავს დამტკიცებული ფორმის განაცხადით, თუმცაღა, თუ უარის თქმის მიზეზი ეს გარემოება იყო, გაუგებარია, რატომ არ მიუთითა ცენტრმა საპასუხო წერილში უარის საფუძვლად დადგენილი წესით ანდა ფორმით განაცხადის წარუდგენლობა. ამის საპირისპიროდ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინსიტროს მიერ დადგენილი წესით წერილის გადაგზავნის შემდგომ, აკრედიტაციის ცენტრმა მიიღო შ.

[41] შოთა ლომინაშვილის 2022 წლის 14 დეკემბრის წერილი N01/2314

ლომინაშვილის განცხადება, როგორც მოთხოვნა აკრედიტაციაზე და თავისი გადაწყვეტილებით, წერილობითი აქტით არ დააკმაყოფილა იგი.

კანონმდებლობის შესაბამისად, მოპასუხეს საკითხის განხილვისას უნდა დაეცვა ნორმატიულად განსაზღვრული პროცედურა და განაცხადი პირველ რიგში შეეფასებინა საკ 1.1:2000 – „აკრედიტაციის საერთო წესების და პროცედურების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებთან შესაბამისობის კუთხით და დაედგინა განაცხადით წარდგენილი საკითხი იყო თუ არა აკრედიტაციის საგანი და წარმოდგენილი განაცხადი რამდენად შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობას, შესაბამის აკრედიტაციის სქემას და ამ აკრედიტაციის წესებითა და პროცედურებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. აკრედიტაციის ცენტრს არსებითად არც კი უმსჯელია მითითებულ მოთხოვნებთა შესაბამისობაზე ისე მიიღო უარის გადაწყვეტილება, ამასთან სააგენტო კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ერთ-ერთ ინსპექტირების ცენტრს შორის დადებული ხელშეკრულება არ ქმნის კანონმდებლობით, მათ შორის აკრედიტაციის წესებისა და პროცედურების საფუძველზე კანონმდებლის მიერ განსაზღვრულ, განაცხადის განხილვაზე უარს თქმის საფუძველს.

შესაბამისად, მოპასუხის მხრიდან არ ყოფილა რა დასაბუთებული უარი, ადმინისტრაციულ ორგანოს სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში არ მიუთითებია თუ კონკრეტულად კანონმდებლობით დადგენილ რომელ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებდა წარმოდგენილი განაცხადი, რის შედეგადაც, შეიქმნა ბაზარზე შესვლის მნიშვნელოვანი და გაუმართლებელი ადმინისტრაციული ბარიერი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ მომჩივანის მიერ აკრედიტაციის მოთხოვნის მიზნით წარდგენილ განცხადებაზე აკრედიტაციის ცენტრმა არც კი დაიწყო კანომდებლობით გათვალისწინებული პროცედურები, არამედ ყოველგვარი სამართლებრივი დასაბუთების გარეშე, (იმ პირობებში, რომ არ არსებობდა აკრედიტაციის დამატებითი მოთხოვნები), ერთადერთი საფუძვლით - პტი მომსახურების ბაზარზე უკვე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთან, მომჩივანის პოტენციურ კონკურენტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძვლით უარი განაცხადა აკრედიტაციის გაცემაზე. აღნიშნულის შედეგად, ი/მ შოთა ლომინაშვილს, შეექმნა რა ბაზარზე შესვლის მნიშვნელოვანი და გაუმართლებელი ადმინისტრაციული ბარიერი, ვერ განახორციელა ბაზარზე შეღწევა და შესაბამისი სამეწარმეო საქმიანობის დაწყება, რამაც, თავის მხრივ გამოიწვია ეკონომიკური აგენტის საქმიანობის შეფერხება, რაც წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევას.

ნაწილი 5. დასკვნა

სააგენტოს მიერ განხორციელებული მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ:

• მოპასუხე, სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“, როგორც საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი დაწესებულება, ექცევა კანონის მე-10 მუხლით განსაზღვრულ “ადმინისტრაციული ორგანოს“ ცნებაში და წარმოადგენს ამ ნორმის ადრესატს;

• მომჩივანის მიმართ აკრედიტაციის ცენტრის 2021 წლის 6 დეკემბრის №GAC-01/976 წერილით აკრედიტაციის პროცესის დაწყებასა და განხორციელებაზე უარი იქნა ნათქვამი;

• აკრედიტაციის ცენტრის მიერ მომჩივანის მიმართ გაცემული უარი არ იყო გამოწვეული განაცხადის სათანადო წესით ან/და ფორმით წარუდგენელობის გამო, არამედ, ერთი მხრივ, უარი შეეხებოდა უშუალოდ მოთხოვნის შინაარსს აკრედიტაციის პროცესის დაწყებაზე, ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნულის საფუძვლად მითითებულია კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობა და არანაირი საკანონმდებლო საფუძველი, არ არის მითითებული მომჩივანის მოთხოვნის მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამობამობაზე;

• სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ მომჩივანის მიმართ პტი აკრედიტაციისათვის საჭირო სამართლებრივი პროცედურების განხორციელებაზე გაცემულმა უარმა შექმნა ბაზარზე შესვლის მნიშვნელოვანი და გაუმართლებელი ადმინისტრაციული ბარიერი, რამაც, გამოიწვია ეკონომიკური აგენტის (პოტენციური ეკონომიკური აგენტის) ეკონომიკური საქმიანობის შეფერხება;

• სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ მომჩივანის მიმართ პტი ცენტრის აკრედიტაციისათვის საჭირო სამართლებრივი პროცედურების განხორციელებაზე უარი არ შეიძლება გამართლდეს შესაბამის ბაზარზე მოქმედ სხვა ეკონომიკურ აგენტთან უკვე არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობებით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მიიჩნევს, რომ:

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის“ ქმედება, კერძოდ, რომლითაც ცენტრი უარს აცხადებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებასა და პტი ცენტრის მოწყობის მიზნით მომჩივანის განცხადებების განხილვაზე (იმ არგუმენტით, რომ კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტთან გაფორმებული ხელშეკრულება უზღუდავს მას აღნიშნულის უფლებას), წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევას.

<u>სააგენტო კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი არ აფასებს აკრედიტაციის ცენტრის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხს და არ განიხილავს, თუ რამდენად აკმაყოფილებდა მომჩივანი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს აკრედიტაციის</u>

მისაღებად. სააგენტო კონკურენციის კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ მიიჩნევს აკრედიტაციის ცენტრის უარს ადმინისტრაციული წარმოების განხორციელებაზე, როდესაც აღნიშნულ ქმედებას არ გააჩნდა იმგვარი საფუძველი, რომელიც ცენტრის ქმედებას მოაქცევდა კანონის მე-10 მუხლით განსაზღვრულ კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამონაკლისში.

თავი VI. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ქვეპუნქტის, 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-6 და 29-ე მუხლების შესაბამისად,

სააგენტომ გადაწყვიტა:

1. დადასტურდეს სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევა.
2. სსიპ აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრს დაევალოს, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ი/მ შოთა ლომინაშვილის (პ/ნ: 60002007062) მიმართვის საფუძველზე დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება აკრედიტაციისთვის საჭირო სამართლებრივი პროცედურების განხორციელების მიზნით და აკრედიტაციის გაცემაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება დააფუძნოს პტი ცენტრის აკრედიტაცის სფეროში მოქმედ კანონმდებლობას, ისე, რომ გაცემულმა უარმა არ შექმნას ბაზარზე შესვლის მნიშვნელოვანი და გაუმართლებელი ადმინისტრაციული ან სხვა სახის ბარიერი და არ გამოიწვიოს ეკონომიკური აგენტის (მათ შორის, პოტენციური ეკონომიკური აგენტის) საქმიანობის შეფერხება.